პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი სამშაბათი 3 ივნისი № 127 (17770) ფასი 2 კაპ.

დიდი საქმის მოთავენი

ღირსეულად ჩვენს სოფელსა და ქალაქს ძალასა და სიმტკიცეს ანიჭებენ იქ მცხოვრები ადამიანები, რომელთა მთელ ცხოვრებისეულ მოღვაწეობას, დაკისრებული მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულებისათვის მუშაობას პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად ადგილობრივი საბჭოები ხელმძღვანელობენ და წარმართავენ.

ცხადია, ყოველივე ეს ბუნებრივი და კანონზომიერია, რადგან სახელმწიფო ხელისუფლების ეს უაღრესად მრავალმხრივი და მასობრივი ორგანოები — ადგილობრივი საბჭოები ნამდვილად რომ დიდი და სერიოზული ძალაა ჩვენი დასახელებული პუნქტების, სამრეწველო და სასოფლო საწარმოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში. საერთოდ, საბჭოები და, კერძოდ, ადგილობრივი საბჭოები ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონით — სსრ კავშირის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებით მოქმედებენ, ხალხის ფართო მასების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მისი ცხოვრების გალამაზებისა და გამშვენიერებისათვის იღვწიან.

საბჭოები ხალხის ნამდვილი ხელისუფლებაა, რომლებშიც სამუშაოდ მშრომელებმა თავისი საუკეთესო შვილები გაგზავნეს და გამოუცხადეს დიდი ნდობა — იღვაწონ ადამიანის საბედნიეროდ და სასიკეთოდ. „სახალხო დეპუტატთა საბჭოები, — ამბობს ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, — დღეს აერთიანებენ უდიდეს აქტივს, მილიონობით დეპუტატს, აპარატის მუშაკს. მათი პრინციპულობისა და მომთხოვნელობის, ადამიანებისათვის მათი ზრუნვის მიხედვით მსჯელობს მშრომელი კაცი იმაზე, თუ რა არის საბჭოთა ხელისუფლება. საბჭოების ძალა მარტო მათი მასობრიობა როდია, იგი უწინარეს ყოვლისა, განსაზღვრება იმით, თუ როგორ მუშაობს თითოეული, ხაზს ვუსვამ, თითოეული დეპუტატი, თითოეული თანამდებობის პირი“.

ახლა ადგილობრივ საბჭოებს იმდენი უფლებამოსილება აქვთ, რომ შეუძლიათ შეასრულონ ყოველივე ის, რასაც მათგან ხალხი, ამომრჩეველები, ფართო მასები მოითხოვენ და მოელიან. მაგრამ ყოველივე ეს რომ კარგად და კეთილსინდისიერად შეასრულონ, უპირველესად, გონივრულად უნდა იყენებდნენ მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების, თითოეული დეპუტატის უნარსა და შესაძლებლობებს, მასებთან კავშირს, მათთან შეხვედრებს. ამას წინათ თბილისის კალინინის რაისაბჭოს აღმასკომმა მოაწყო შეხვედრა დეკანოზი: „დეპუტატი ხალხის მსახურია“, მასში მონაწილეობდნენ არა მარტო რაისაბჭოს ახლადარჩეული დეპუტატები, არამედ ისინიც, ვინც ესტაფეტასავით გადასცა მათ სადეპუტატო გამოცდილება. ყოველმა და ახალმა დეპუტატებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი იმაზე, თუ როგორ იმუშაონ ამომრჩეველთა განაწესის შესასრულებლად. ეს შეხვედრა მუშაობის გამოცდილების ნამდვილ სკოლად გადაიქცა.

თავიანთ საქმიანობაში მუშაობის სულ სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს იყენებენ ახლა ადგილობრივი საბჭოები, ბევრგან ინიციატივა ისეთი პრაქტიკა, როცა სულ უფრო ქმედითი ხდება მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლი, ხელი ეწყობა იმას, რომ უფრო მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს მშრომელთა საკონსტიტუციო მოთხოვნები, ეფექტიანად გადაწყდეს ის პრობლემები, რომელთა მოგვარება საერთო ძალებით უნდა განხორციელდეს. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ამას წინათ ლენინის რაიონის მშრომელთა შეხვედრა ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების, პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაკებთან. აქ რაიონის მშრომელებს ცხოვრებისეულ საჭირბოროტო საკითხებზე ესაუბრნენ თბილისის საბჭოს აღმასკომის ცალკეული სამსახურების ხელმძღვანელები. მშრომელებმა შეხვედრაზე თავიანთი კონკრეტული პრეტენზიები წაუყენეს მათ. გადაწყდა, რომ წამოჭრილი საკითხები განიხილებოდა სათანადო ინსტანციებში. უთუოდ სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა უკვე რაისაბჭოს აღმასკომმა შეაჯამწმა, თუ როგორ სრულდება შეხვედრაზე შემუშავებული რეკომენდაციები, ნათელი გახდა, რომ ამ ღონისძიებამ კარგი ნაყოფი გამოიღო. ბევრი საჭირბოროტო საკითხი მოგვარდა.

მშრომელთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება გორის, ზუგდიდის რაიონებში. ჭიათურის ზონის სოფლებში. ამ რეგიონებში, ადგილობრივი საბჭოები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ დეპუტატის სტატუსის, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, მუდმივი კომისიების ახლებური მუშაობის აქტუალურ საკითხებს.

თქმა არ უნდა, ახლა ჩვენი ადგილობრივი საბჭოების ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის, სამართალდარღვევათა აღკვეთისათვის შეუნელებელი ბრძოლა და პრაქტიკული მუშაობა, მარტო სწორი სტატისტიკური აღრიცხვა როდი შველის საქმეს. მთავარია, ინტენსიური პროფილაქტიკური მუშაობის შედეგად შემცირდეს დანაშაულობანი, სანიშნო წესრიგი და წესიერება დამკვიდრდეს ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე. მაგრამ ეს ახე რომ არ არის, ამაზე ფაქტებიც ნათლად მეტყველებს. მაგალითად, წლეკინდელი წლის ოთხი თვის მონაცემები მოწმობს, რომ შარშან ამავე პერიოდთან შედარებით ოპერატიული მდგომარეობა რესპუბლიკაში ერთგვარად გაუარესდა. როგორც ირკვევა, ბევრგან ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ გაგარეული ღონისძიებების განხორციელებას. ამ მხრივ უფრო მეტად სცოდავენ ზესტაფონის, თეთრი წყაროს, ცხაკაიას, ბორჯომის, მარნეულის, მახარაძის და თბილისის ზოგიერთ რაიონში, აგრეთვე ქალაქებში რუსთავში, გაგრაში, ფოთში და სხვ. აქაური ადგილობრივი საბჭოები, ადმინისტრაციული ორგანოები ეფექტიანად არ იბრძვიან სამართალდარღვევათა აღკვეთისათვის.

კანონიერების განმტკიცების სამართალდარღვევათა აღკვეთისათვის ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი ნაკლი მაინც ის არის, რომ ნაკლებეფექტიანია მუშაობა იმ პირთა გამოვლენისათვის, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასა და პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან. ხშირად სათანადოდ არ აფასებენ ამ მეტად სერიოზული პრობლემის მნიშვნელობას, ყოველ ღონეს არ ხმარობენ ზემოქმედების კომპლექსური ღონისძიებების დროული განხორციელებისათვის, სამართალდამცველი ორგანოების, შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე ცალკეული საწარმოების, დაწესებულებების მუშაობის კოორდინაციისათვის. მრავალი ფაქტით დასტურდება, რომ სუსტად მუშაობენ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან არსებული მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები. მაგალითად, მარნეულისა და მახარაძის რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული ეს კომისიები ვერ უზრუნველყოფდნენ თავისსავე სამუშაო გეგმების შესრულებას. აქაურ შინაგან საქმეთა განყოფილებებში დამაკმაყოფილებლად არ წარმოებდა იმ პირთა აღრიცხვა და გამოვლენა, რომლებიც ხანგრძლივად დაუსაქმებელი იყვნენ. ასეთი ნაკლოვანებები სხვა რაიონებსა და ქალაქებშიც არის. ხშირად ეს კომისიები თვალყურს არ ადევნებენ იმ პირთა შრომითს მოწყობასა და წარმოებაში დამაგრებას, რომლებსაც სამუშაოდ გზავნიან. ისიც ხომ ფაქტია, რომ ზოგიერთი საერთოდ არ ცხადდება იქ, სადაც გაგზავნეს და კვლავ პარაზიტული ცხოვრებას ეწევა. ასე იყო, მაგალითად, ქალაქ ცხინვალის ზოგიერთ საწარმოში — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მეთერთმეტე ტრესტში, ელექტროქსელების სამმართველოში „ემალსადენის“, მექანიკურ და სხვა ქარხნებში.

ასეთი ფაქტები ადგილობრივი საბჭოების მუდმივი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს და მკაცრი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს იმათ მიმართ, ვისაც ბრალი მიუძღვის ამ მეტად საჭირო საქმის უგულებელყოფაში.

დიდი, რთული, მრავალფეროვანი და საპატიო ამოცანები აკისრიათ ადგილობრივ საბჭოებს, მათი ორგანიზატორული ხელი უნდა იგრძნობოდეს ჩვენი ცხოვრების ყველა რგოლსა და უბანზე. თითოეული საბჭოს აღმასკომის, მუდმივი კომისიის და თითოეული დეპუტატის პარტიული მოვალეობაა უფრო გაბედულად იმოქმედონ ხალხის საჭირბოროტო საკითხების გადასაჭრელად, მათ მეტი ინიციატივა, ენერგიულობა, ერთგულება მოეთხოვებათ პარტიის წინასწარდასახულობათა ხორცშესხმისათვის ბრძოლაში.

მევენახეთა რესპუბლიკური შეკრების წინ

ახალი სოფლები, ახალი ზვრები

რეპორტაჟი სამთაწყაროდან

ვაზი თითქოს ქართველ კაცთან ერთად დაიბადა. ახლა ვეარაფრით ვერ დაამტკიცებ, რა უფრო უწინ გაჩნდა კავკასიონის კალთების სამხრეთ ჩაყოლებაზე: მოდგმა ქართველთა თუ ვაზი ქართული, ისე კი ვიცით, რომ ორთავეს ერთად უელია. ვაზი ხომ ოდითგანვე ქართველი კაცის მუჭირნახულე იყო. ჩვენი უხსოვარი, შორეული თუ ახლო წინაპარი, როდესაც საცხოვრებლის საძირკველს ჩააგდებდა, იქვე ვაზს რგავდა და ახარებდა. ოჯახის დოვლათიანობის აუცილებელ პირობად პურ-ღვინო იყო თქმული, რაც ქართველთა მტერსაც სცოდნია თურმე, როდესაც ჩვენს წინაპრებს საცხოვრებლებს უწვავდნენ, იქვე ვაზსაც უჩეხავდნენ, რომ ეკონომიკურად და სულიერად გაეტეხათ ქართველი კაცი.

რა თქმა უნდა, ახალს არაფერს ვამბობთ. რაც უნდა გიამბოთ, ყოველივე მშვენივრად იცის ჩვენში დიდმაც და პატარამაც. საქართველოში დღეს ყველამ იცის თქმულება, თუ როგორ წამოსულა ქართველთა მოსაქრისტიანებლად ნინო კაბადოკიელი, წამოსულა და წამოუმძღვარებია ვაზისაგან გაკეთებული ჯვარი. როგორც ჩანს, ქართველები ორ დიდ სიყვარულს, ქალსა და ვაზს ვერ გაჰქცევიან და ქრისტეს რჯულზე დამდგარან.

თქმულება თქმულებაა, ჩვენ კი ის შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ ქართველი კაცი ვაზს ყოველთვის დიდი პატივით მოსავდა, რწმენის სიმბოლოდ გამოხატავდა ტაძრების კედლებზე და მუხის დედაბოძებზე აჩუქურთმებდა, წიგნის თავსამკაულად აგვირისტებდა.

და რა სიამაყით შეგვიძლია დღეს განვაცხადოთ: არასოდეს არ ყოფილა საქართველოში იმდენი ზვარი, რამდენიც დღეს არის. არასოდეს არ მოუკრფიათ იმდენი ყურძნის მტევანი, რამდენიც დღეს იკრიფება, არც იმდენი დაგვიწურია ოდესმე ამ მართლაც დალოცვილისა და რქადგრეხილის წვენი, მზისა და მიწის ბოძებული სიკეთე.

ხვალ, და ეს ახლო ხვალ იქნება უკვე კარზე მომდგარ მეთერთმეტე ხუთწლედში, ერთიორად უნდა გაიზარდოს საქართველოს ზვრები. ამ დიდი საქვეყნო საქმისათვის გვიხმობს ჩვენი პარტიისა და მთავრობის ცნობილი დადგენილება „რესპუბლიკაში სამხრეთული კულტურების შემდგომი განვითარების შესახებ“.

ნუ დავიზარებთ და წითელწყაროს რაიონში ჩავიდეთ. თავქვე დავუყვეთ შირაქისაკენ, გავცდეთ ზემო ქედს, არხლოსკალოს და როცა პატარა სოფელ სამთაწყაროს მივადგებით, დავინახავთ, როგორ ხორცეელდება პრაქტიკულად პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის ის ცნობილი დადგენილება, რაც ჩვენ კიდევ უფრო მეტი დოვლათით აგვავსებს.

ამ ორმოციოდე წლის წინათ ჩამოსახლდნენ საინგილოდან აქ, ალაზნისპირას, მამულაშვილები და სარდალაშვილები, ნადირაშვილები და თარხნიშვილები, საკანელაშვილები და ხუციშვილები. მერე გამრავლდნენ, გაიზარდნენ, . დღეს მშვენიერი სოფელი აქვთ. ბევრით ხარობენ და ეს კეთილდღეობა მათ ვაზის სიყვარულმა მოუტანა.

სამთაწყაროში უკვე შეიქმნა მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა: რა ხანია მძლავრი ტექნიკით აბრუნებენ ალაზნისპირა მიწას, ამუშავებენ, რგავენ მხოლოდ და მხოლოდ საფერავს. ახლადფეხადგმულ მეურნეობას სჭირდება გამოცდილი ავტომძღოლები, მექანიზატორები, სპირდება დიდძალი მუშახელი.

როცა სამთაწყაროელებმა მამაპაპურ მიწაზე დიდი ზვრების გაშენება გადაწყვიტეს, საქვეყნოდ განაცხადეს, რომ ამ საქმეში მათ მეგობარი და მხარდამჭერი სჭირდებოდათ. მეურნეობას აკითხავენ ახალმოსახლეობის მსურველები რაიონის სხვადასხვა სოფლიდან, მეზობელი აზერბაიჯანის ქართული დასახლებებიდან.

სამთაწყაროს ამბავი აქარის ავტონომიური რესპუბლიკის შუახევის რაიონის სოფელ ნაღვარევის მშრომელებსაც შეუტყვიათ. აქ დასახლებისაც და შრომის სურვილი გამოუთქვამთ. ჩამოვიდნენ კიდევაც მათი წარმომადგენლები. საკუთარი თვალით ნახეს ყოველივე, გაეცნენ ახალმოსახლეობის, შრომისა და ყოფის პირობებს.

სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ და ესაუბრნენ საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი ქ. ყარიულაშვილი, სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ფიროსმანაშვილი, სამთაწყაროს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ა. ვეშაგური, აგრეთვე რაიონის მშრომელები.

— დიდი, თოვლიანი ზამთარი იცის ჩვენს სოფელში, — თქვა სტუმართაგან დამიტრი კილაძემ. — თოვლის გამო იკეტება გზები, წყდება შიმოსვლა, ყველა ჩვენ-ჩვენს სახლებში ვართ გამომწყვდეული, ჩვენ ნაშრომს კი ვქამთ, მაგრამ მაინც გვრცხვენია, რომ თითქმის ხუთ-ექვს თვეს არაფერს ვაკეთებთ.

— ვინ იცის, იქნებ კი არ მოვედით, ებრუნდებით ჩვენს მიწა-წყალზე, — თქვა მან ბოლოს. მის გვერდით იდგა სამი ძმა: თამაზი, დიმიტრი და ვალერიან ხილაძეები — კარგი მექანიზატორები, ავტომძღოლები, შრომაში სახელგანთქმული ადამიანები. მათთვის აქ დიდი ასპარეზი იქნება. ყველანი ერთი მიზნით, ერთი სურვილით შეკრულნ: რაც შეიძლება მალე აშენონ საცხოვრებელი სახლები, გაიყვანონ გზები, სარწყავი არხი, ჩაყარონ ვაზი.

ყოველ ახალჩამოსულ ოჯახს ნახევარი ჰექტარი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი გამოეყოფა. აქედან მეხუთედი საცხოვრებელ სახლსა და დამხმარე ნაგებობებს დასჭირდება. დანარჩენზე კი ალაზნის პირას საკუთარ ვენახებს გაშენებენ. ამასთანავე ვაზის ისე ჩაყრას ვარაუდობენ, რომ თანამედროვე ტექნიკით მოხნან, შეიტანონ სასუქები, შეწამლონ.

რა ხანია მზად არის „სახმშენის“ მიერ შემუშავებული საცხოვრებელი სახლების პროექტები. მთავრობა საბინაო მშენებლობისათვის იძლევა კრედიტს 20 წლის ვადით.

სამთაწყაროში კიდევ აშენდება სკოლა, სავაჭრო საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობები, კლუბი, ამბულატორია, სპორტული მოედანი.

უკვე დაიწყო მშენებლობა.

პირველი სამოსახლო მიიზომა და პირველი ბარი დაჰკრა ალი ბოლქვაძემ, მას მიჰყვნენ ძმები ალიოშა და ქაზიმ დიმიტრაძეები, დავით ტაკიძე და სხვები. ახალი დასახლების ქუჩას გამოყოლილი სიყვარულით ნაღვარევი უწოდეს.

400 ახალი ოჯახი დასახლდება სამთაწყაროში და, როგორც ოდითგანვე ყოფილა, სადაც საცხოვრებლის საძირკველს ჩააგდებენ, იქ ვაზსაც გაახარებენ. წელიწადსაც 500 ჰექტარი ახალშენი ეშენებათ, მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევს კი მათი ზვრები 1.150 ჰექტარზე გაიჭიმება.

დიდი პერსპექტიული გეგმით კიდევ ორი სპეციალიზებული მევენახეობის ნაბჭოთა მეურნეობა შეიქმნება.

თუ დღეს წითელწყაროს რაიონში 30 ათასი ტონა ყურძენი იკრიფება, მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლოს აქაურები 100 ათას ტონა ყურძნის მოკრეფას ვარაუდობენ. ეს თავისთავად მოითხოვს ახალი ღვინის ქარხნებს, და აშენდება კიდეც სამი დიდი ქარხანა.

„ვაზო, შვილივით ნაზარდოო“ — უთქვამს ქართველ კაცს. ასე ამბობენ დღესაც, ჩვენც ვიმეორებთ სხვათა ნათქვამს და კვლავაც გაიმეორებენ თაობები, ვიდრე ამ კურთხეულ მიწაზე ქართველი კაცი ვაზს უვლის და ახარებს.

ვაზი ქართველი კაცის სიკეთის ერთ-ერთი წყაროა. დაე, კვლავაც გაიხაროს მან ჩვენში, გაიხაროს ქიზიყის მიწაზეც. რათა მეზვრესა და მის სამშობლო ქვეყანას უფრო მეტი ლხინი და სიხარული უბოძოს.

ჯ. ქურხული,
ვლ. მჰედლიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

საქმემ გაამოაჩინა

დუშეთის რაიონის ჭოპორტის მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში ვენახს 140 ჰექტარი უკავია. აქაურ მევენახეებს გადაწყვეტილი აქვთ ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 60 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ყურძენი.

ამჟამად მეურნეობაში მიმდინარეობს ვაზის მეორედ შეწამვლა, მოწინავეთა შორის არიან მექანიზატორები ა. შალვაშვილი, მ. თურქიაშვილი, ვ. ლაგაზაშვილი, ვ. მწითური, ბ. ზეიკიძე და სხვები, რომლებიც გეგმით გათვალისწინებული 8 ჰექტარის ნაცვლად ყოველდღიურად 5-6 ჰექტარ ვენახს წამლავენ.

სურათებზე: მოწინავე მექანიზატორი, კომკავშირელი ავთანდილ შალვაშვილი; ვაზის შეწამვლა. ვ. გენგიურის ფოტო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ვალდებულებანი უთუოდ უნდა შესრულდეს!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმებს ადგილისა და წალკის რაიონები.

აღინიშნა, რომ ადგილისა და წალკის რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს არ უზრუნველუყვიათ ადგილის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ვ. ეძაძამიას და წალკის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის ამხ. ა. ხ. მაცუკატოვის მიერ მიცემული დაპირებანი დაშვებული ჩამორჩენის ლიკვიდაციისა და რძის სახელმწიფო შესყიდვის კვარტალური გეგმის უთუო შესრულების შესახებ.

სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის გეგმა პირველ კვარტალში ადგილის რაიონმა შეასრულა 74 პროცენტით, ხოლო წალკის რაიონმა — 87 პროცენტით. ამასთან ადგილის რაიონი გასული წლის დონეს ჩამორჩა 17 პროცენტით და რძის საშუალო წველადობა შეამცირე 76 კილოგრამით.

ადგილის რაიონის 8 საზოგადოებრივი მეურნეობიდან რძის სახელმწიფო შესყიდვის გეგმა ვერ შეასრულა 7 მეურნეობამ და სახელმწიფოს დაკლო 215 ტონა, ხოლო წალკის რაიონის 11 საბჭოთა მეურნეობიდან გეგმა ვერ შეასრულა 9 მეურნეობამ, მათი დავალიანება 438 ტონა რძეა.

ძროხის სულადობა შეამცირეს ადგილის რაიონში — 77-ით, წალკის რაიონში — 94-ით, ზარშანდელზე — 338 სულით ნაკლები ხბო მიიღეს ადგილის რაიონში.

აღნიშნული რაიონების პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ვერ უზრუნველუყვეს სათანადო ხელმძღვანელობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისადმი, არ იზრუნეს პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდებისათვის, ხოლო ადგილის რაიონში ვერ უზრუნველუყვეს პირუტყვი ზამთარში საჭირო რაოდენობის საკვებით.

გადაუწყვეტელი დარჩა სრულფასოვანი ჩასაყენებელი მოზარდეულის გამოზრდის, ზოოტექნიკური აღრიცხვის, კადრების საწარმოო საქმიანობისადმი, მომზადებისა და განაწილებისადმი მკაცრი კონტროლის მოგვარების პრობლემები.

უყურადღებოდ იყო. მიტოვებული მეცხოველეობის შრომატევადი პროცესების მექანიზაციის, ჯიშთსანაშენე საქმის, შემოყვანილი ჯიშიანი პირუტყვის და მისგან მიღებული შთამომავლობის გამოყენების საკითხები.

ამ საკითხების გადაწყვეტისადმი უყაირათო მიდგომის ფაქტები გამოავლინა შემოწმებამ წალკის რაიონის ცალკეულ ჩამორჩენილ მეურნეობებში.

მთლიანად ჩაშლილია ზოოტექნიკური აღრიცხვა ადგილის რაიონის ადგილის, მოხისა და ვახხანის საბჭოთა მეურნეობებსა და სოფელ ლელოვანის კოლმეურნეობაში. შემოყვანილ ჯიშიან პირუტყვს საჭირო ყურადღება არ ეთმობა. მაგალითად, მეათე ხუთწლედის განვლილი წლების მანძილზე ადგილის რაიონში შემოყვანილი იყო 740 სული სანაშენე და გაუმჯობესებული ჯიშის დეკეული, ხოლო წალკის რაიონში — 570 სული, მაგრამ ამდენი პირუტყვის შემოყვანამ ვერ გაუუმჯობესა პირუტყვის პროდუქტიულობის მაჩვენებლები. ადგილის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში არ იცავენ ელემენტარულ ვეტერინარულ-სანიტარიულ წესებს. ასეთივე მდგომარეობაა წალკის რაიონის თრიალეთის, ბაშქოისა და ავრანლოს საბჭოთა მეურნეობებში.

ადგილისა და წალკის რაიონების მეტ წილ მეურნეობებში არ არის საკვებგადასამუშავებელი ტექნიკა, რის გამო საკვები რაციონალურად არ იხარჯება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებებით დასახული დონის მიღწევას ძროხის სულადობის მხრივ ადგილის რაიონში დააკლდა 480 სული, წალკის რაიონში — 400 სული. ამასთან ძროხების ხვედრითი წონა ჯოგში ჯერ კიდევ ძალიან მცირეა და შესაბამისად შეადგენს 26,5 და 30,5 პროცენტს პლენუმის მიერ გათვალისწინებული 32 და 33,7 პროცენტის ნაცვლად.

ეს ფაქტები მოწმობს, რომ პარტიის ადგილისა და წალკის რაიონული კომიტეტები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ მეცხოველეობაში სანაშენე საქმის ვითარებისათვის მეურნეობათა ხელმძღვანელების, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებისა და სპეციალისტების პასუხისმგებლობის ამაღლებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს კომპარტიის ადგილის რაიკომის (პირველი მდივანი — ამხ. გ. გ. ახმეტელი) და საქართველოს კომპარტიის წალკის რაიკომის (პირველი მდივანი — ამხ. ქ. თ. სალია), აგრეთვე სახალხო დეპუტატთა საბჭოების შესაბამისი აღმასკომების მუშაობა მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის კვარტალური გეგმის შესრულებისათვის არადამაკმაყოფილებლად ცნო.

იმის გამო, რომ ვერ შეასრულეს დაპირებანი მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის კვარტალური გეგმების განაღდების შესახებ და სერიოზული ნაკლოვანებანი აქვთ დარგისადმი ხელმძღვანელობაში, ადგილის სახალხო დეპუტატთა საბჭოს რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ვ. ე. ძაძამიასა და წალკის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსს ამხ. ა. ხ. მაცუკატოვს გამოეცხადათ საყვედური საარღიცხვო ბარათში შეტანით.

საქართველოს კომპარტიის ადგილისა და წალკის რაიკომებს დაევალათ განახორციელონ მკაცრი ღონისძიებები იმ მეურნეობათა ხელმძღვანელების მიმართ, რომლებმაც ჩაფუშეს კვარტალური გეგმები, დასახონ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის კონკრეტული პროგრამა. (საინფორმი).

საბჭოთა ხელოვნება

მთავრდება ერთობლივი ფრენის პროგრამა

ფრენის მართვის ცენტრი, 1 ივნისი. მეხუთე დღეა საერთაშორისო ეკიპაჟი ლეონიდ პოპოვის, ვალერი რიუმინის, ვალერი კუბასოვისა და ბერტალან ფარკაშის შემადგენლობით მუშაობს „სალუტ-6“ — „სოიუზ-35“ — „სოიუზ-36“ ორბიტულ სამეცნიერო-კვლევითს კომპლექსში.

დღეს კოსმონავტები ასრულებენ გეოფიზიკურ და ტექნიკურ ექსპერიმენტებს, ვიზუალურად აკვირდებიან და ფოტოსურათებს უღებენ დედამიწას ბუნებრივი რესურსების კვლევისა და გარემოს შესწავლის მიზნით. ზოგიერთი ისეთი ექსპერიმენტის წინ, რომელიც არის, მაგალითად, „დეფორმაცია“ და „აისი“, ეკიპაჟი უზრუნველყოფს კომპლექსს საჭირო ორიენტაციასა და სტაბილიზაციას.

კოსმოსური მასალათმცოდნეობის პროგრამის შესაბამისად „კრისტალის“ დანადგარზე გუშინ მოაწყვეს მორიგი ტექნოლოგიური ექსპერიმენტი „ბეალუცა“, დღეს კი დაგეგმილია ამ სერიიდან კიდევ ერთი „შენადნობის“ დანადგარზე. ექსპერიმენტების შედეგებს გამოიყენებენ ლითონებისა და შენადნობების მიღების ტექნოლოგიის გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე ჩამოსხმის წესით სხვადასხვა ნაკეთობის დამზადების დროს.

კომპლექსში გრძელდება „კოსმოსური ფრენის პირობებში უმაღლეს ტექნიკურ ეფექტურობის შესაბამისი ეფექტური ექსპერიმენტები. კოსმონავტები ფარავენ [illegible] „ბალ[illegible]ისა“ და „ვაზონის“ დანადგარებში, ხოლო „ბიოგრავიტატში“ მოჰყავთ სხვადასხვა თესლი.

დღის განმავლობაში ეკიპაჟი აგრეთვე კინოფირზე აღბეჭდავს ერთობლივ საქმიანობას, გადმოსცემს სატელევიზიო რეპორტაჟებს. ასრულებს ფიზიკურ ვარჯიშს.

რადიოსაუბრის შედეგებითა და სამედიცინო გამოკვლევების

მონაცემებით, ლეონიდ პოპოვი, ვალერი რიუმინი, ვალერი კუბასოვი და ბერტალან ფარკაში თავს კარგად გრძნობენ.

კვლევა ორბიტაზე წარმატებით სრულდება.

ფრენის მართვის ცენტრი, 2 ივნისი. (საკლესი). დასასრულს უახლოვდება საერთაშორისო ეკიპაჟის ერთობლივი გამოკვლევების პროგრამა „სალუტ-6“ — „სოიუზ-35“ — „სოიუზ-36“ ორბიტულ კომპლექსში.

ლეონიდ პოპოვმა, ვალერი რიუმინმა, ვალერი კუბასოვმა და ბერტალან ფარკაშმა შეასრულეს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ექსპერიმენტების მედიკო-ბიოლოგიური და ტექნოლოგიური დასკვნითი ოპერაციები და დაიწყეს „სოიუზ-35“ ხომალდის მომზადება დედამიწაზე დასაბრუნებლად. დასაშვებ აპარატში კოსმონავტებს გადაავლეს ჩატარებული კვლევის მასალებიანი კონტეინერები, ხოლო საყოფაცხოვრებო ნაკვეთურში — [illegible]ებული მოწყობილობა. დედამიწაზე, კერძოდ, ჩამოიტანენ გადაღებული ფოტოფირის კასეტებს, ტექნოლოგიური ექსპერიმენტების დროს მიღებულ ნივთიერებათა ეკფსტულებს, ბიოლოგიურ ობიექტებს, კოსმონავიგაციურ რუკებს, დაკვირვებათა ჟურნალებს.

დღეს ეკიპაჟი შეასრულებს აგრეთვე ორბიტიდან „სოიუზ-35“ ხომალდის დაშვების ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ეტაპს — შეამოწმებს სიცოცხლის უზრუნველყოფის, მოძრაობის ორიენტაციისა და მართვის სისტემების მუშაობის უნარს, სასინჯად ჩართავს ხომალდის ძრავის დანადგარს.

სალამის სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსიდან მოეწყობა სატელევიზიო რეპორტაჟი საბჭოთა და უნგრელი კოსმონავტების ერთობლივი საქმიანობის დამთავრების შესახებ.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებითა და ორბიტიდან მიღებული მოხსენებებით, სალუტ-6“ სადგურისა და „სოიუზ-35“ და „სოიუზ-36“ ხომალდების საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

ამხანაგები პოპოვი, რიუმინი, კუბასოვი და ფარკაში თავს კარგად გრძნობენ.

ჭეშ ჩვენი სიმდიდრეა

საქართველოს დედაქალაქი მტკვრის ორივე ნაპირზე გადაჭიმულა, იმ ადგილას, სადაც ერთმანეთს ყველაზე უფრო ახლოვდება დიდი და მცირე კავკასიონის განტოტებანი. პაპანაქება ზაფხულში ქალაქში, რომ იტყვიან, სულს ვერ მოითქვამ: გარსშემოჯარული მთების ფერდობები, რომლებიც ოღესღაც, ისტორიული მონაცემებით, უსიერი ტყეებით იყო დაფარული, ახლა მოშიშვლებულია.

„გადავაქციოთ თბილისი ქალაქ-ბაღად!“ თბილისის XXXVII საქალაქო პარტიული კონფერენციის ეს მოწოდება საქართველოს სსრ სტატეო მეურნეობის სამინისტროს მუშაკებმა მოქმედების საბრძოლო პროგრამად აღიქვეს. ისინი თანდათანობით ითვისებენ მთების ფერდობებს, გაჰყავთ აქ გზები და სარწყავი წყალი. მაგალითად, კრწანისში უკვე ათვისებულია ორას ჰექტარზე მეტ

საერთაშორისო ცხოვრება
ლენინგორის ჟურნალი

ბიბლიოთეკა

ПАРТИЙНАЯ ЖИЗНЬ:

ПЯТИДЕСЯТЫЙ САКАРТВЕЛОС КА ЦЕНТРАЛЬНЫЙ КОМИТЕТЕС XX АРДЕБУЛИС ПЛЕНУМИ

განსასჯელი და სამოქმედო

პარტიის რაიკომი და მეცხოველეობა

თითქმის ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმმა განიხილა ჩვენს რესპუბლიკაში მეცხოველეობის განვითარების საპრობლემო, მტკივნეული საკითხები, დასახა მისი წინსვლის მეცნიერულად დასაბუთებული გზები და საშუალებები, მოგვცა სახელმძღვანელო რეკომენდაციები...

ამ პლენუმის შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი საქმიანობის ეფექტიანობის საუკეთესო განმსაზღვრელი მისი საბოლოო შედეგია. და სწორედ იმას, თუ რა გაკეთდა რესპუბლიკაში ზემოაღნიშნული პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, როგორია დღევანდელი მდგომარეობა და მომავლის ამოცანები, მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლახან გამართული XX პლენუმი.

როგორი მაჩვენებლებით შეხვდა ჩვენი რაიონი ამ პლენუმს? მოვიყვან რამდენიმე კონკრეტულ ციფრს. ლენინგორელი მეცხოველეები XVIII პლენუმიდან მოყოლებული, ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებენ საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების დავალებებს, სულ უფრო მეტ ხორცს, რძესა და მატყლს აძლევენ სახელმწიფოს. ასე, მაგალითად, მეათე ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე წინა ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახელმწიფოს მივყიდეთ 69752, ანუ 17669 ცენტნერით მეტი ხორცი, 90907, ანუ 35682 ცენტნერით მეტი რძე, 13686, ანუ 722 ცენტნერით მეტი მატყლი, პირნათლად შევასრულეთ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის დავალებები.

დიახ, მართალია, მდგომარეობა წლითიწლობით უმჯობესდებოდა, მაგრამ საზოგადოებრივი მეცხოველეობის და, კერძოდ, მისი მთავარი დარგის — მეცხვარეობის (სწორედ ეს დარგი გვაძლევს რაიონის სოფლის მეურნეობის მთლიანი შემოსავლის 58 და მეცხვარეობის მეურნეობათა შემოსავლის 81 პროცენტს) განვითარებაში შარშანდელი და წლევანდელი წლები მაინც ყველაზე გამორჩეული, რეკორდული იყო: შარშან ყოველ 100 ნერგზე მივიღეთ 92 ბატკანი, ყოველ ცხვარზე — 2,5 კილოგრამი მატყლი, საგგმო 1852 ტონა ხორცის, 2530 ტონა რძის, 348 ტონა მატყლის და 165 ათასი ცალი კვერცხის ნაცვლად სახელმწიფოს შესაბამისად 1877 ტონა ხორცი, 2606 ტონა რძე, 357 ტონა მატყლი და 202 ათასი ცალი კვერცხი მივყიდეთ. წლევანდელი მაჩვენებლები უკეთესია. და, საერთოდ, ასეთი შედეგები არ გვქონია ამ ბოლო 30 წლის განმავლობაში.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, წინა წლებში გაწეული ნაყოფიერი მუშაობის შედეგია, რის წყალობითაც აი უკვე მეხუთე წელია ყოველწლიურად სულ უფრო იზრდება მეცხვარეობისაგან მიღებული წმინდა მოგება. ასე, მაგალითად, თუ 1975 წელს მეცხვარეობის დარგიდან 87 ათასი მანეთი მოგება მივიღეთ, მომდევნო წლებში ეს მაჩვენებელი 228 ათას მანეთამდე გაიზარდა. შესაბამისად ამაღლდა შრომის ანაზღაურებაც.

დიახ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად რაიონის პარტიულმა, საბჭოთა სამეურნეო ორგანოებმა, პირველადმა პარტორგანიზაციებმა, ყოველმა მშრომელმა ნაყოფიერად იმუშავეს და წარმატებებიც გვაქვს, მაგრამ გასაკეთებელ-მოსაგვარებელი, საფიქრალ-საბრძოლველიც საკმაოა, მეტადრე ახლანდელი, XX პლენუმის შემდეგ.

ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული პრობლემაა საკვები ბაზის საკითხი. იმის გამო, რომ ყოველწლიურად იძულებული ვართ დიდი რაოდენობით შევიძინოთ საკვები რაიონისა და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ჯერ კიდევ დიდია მსხვილფეხა პირუტყვის შენახვის ხარჯები, ძვირია წარმოებული პროდუქცია. მარტო შარშან მსხვილფეხა რქიანმა პირუტყვმა (რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში 11066 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვია 9200-ის ნაცვლად, აქედან 2730 ძროხაა) 21 ათასი მანეთი გვაზარალა. და ეს მაშინ, როცა რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს 2864 ჰექტარი სათიბი სავარგული აქვთ. სამწუხაროდ, მისასვლელ გზების, სამთო ხელის სათიბებისა და საკვების გამოსაზიდი საშუალებების მკვეთრი ნაკლებობის გამო საკვები ბაზის ამ დიდ და რეალურ შესაძლებლობას ჩვენ სანახევროდაც ვერ ვიყენებთ. მოსახლეობის ძლიერმა მიგრაციამ მთის ბევრი სოფელი ნასოფლარად აქცია, ბევრგან განახევრდა მოსახლეობა, მთას დიდძალი მუშახელი დააკლდა, სათიბ-საბალახოები გატყეურდა. ეს კი ძალზე დიდი, პრობლემური საკითხების წინაშე აყენებს რაიონის სოფლის კომუნისტებს, დეპუტატებს, სამეურნეო აქტივს. მისასვლელი გზების გაყვანა, საბაგირო გზების მშენებლობა (ასეთები ჩვენ უკვე დაგეგმეთ სამ ადგილას — ციხის სოფელში, ზეგაყურაზე და ნავიხევში), ჩვენი მდიდარი სათიბის ათვისება ათასობით ჰექტარ ფართობს ჩაყენებს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების სამსახურში. ეს კი ძირითადად გადაჭრის ჩვენთან საკვები ბაზის საკითხს და სახელმწიფო ლენინგორელი მეცხოველეებისაგან დამატებით მიიღებს ასობით ტონა ხორცს, რძეს, მატყლს. ამ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტაში უფრო ქმედითად უნდა დაგვეხმარონ რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროები და უწყებები.

თუმცა ერთი რამეც უნდა ითქვას. კერძოდ, ის, რომ რაიონის ყველა საზოგადოებრივი მეურნეობა, ყოველი შრომითი კოლექტივი, როგორც ჩანს, ერთნაირი მონდომებითა და პასუხისმგებლობით არ ირჯება საკუთარი ძალებითა და საშუალებებით უშუალოდ რაიონში მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის. ამის საილუსტრაციოდ თუნდაც ლარგვისის კოლმეურნეობის მაგალითი ავიღოთ. ამ კოლმეურნეობის მშრომელებმა მხოლოდ, ერთი სეზონი იმუშავეს საკვების დამზადებაზე და იმდენი ყუთთიანი საკვები მოიმარაგეს, რომ არათუ მხოლოდ თვითონ ეყოთ, არამედ წინამხრის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა-კომბლექსს და დადიანეთის კოლმეურნეობასაც უწილადეს. დასკვნა ერთია: იქ, სადაც მონდომება, პასუხისმგებლობა და გულისყურია, წარმატებებიც არის.

წლეულს /გადაწყვეტილი გვაქვს ძირითადად საკუთარი წარმოების საკვებით უზრუნველვყოთ პირუტყვის ნორმალური გამოზამთრება (სულ უნდა დავამზადოთ 26200 ტონა საკვები, აქედან 17 ათასი ტონა თივა იქნება). ამისათვის უკვე დავიწყეთ მუშაობა. მზადდება რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელიც ამ საკითხს განიხილავს, იხილავენ მორალური და მატერიალური წახალისების ფორმები. ამჟამად ყველა საზოგადოებრივ მეურნეობაზე მიმარგებული არიან პარტიის რაიკომის ბიუროს წევრები, რომლებიც პასუხს აგებენ იქ სამის მდგომარეობისათვის და, უწინარეს ყოვლისა, მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის.

ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა აგრეთვე პირუტყვის სუქების კარგი ორგანიზაცია, რაც, უწინარეს ყოვლისა, კვლავ მტკიცე საკვები ბაზის შექმნასთან არის დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ გაწეული გარკვეული მუშაობის წყალობით უკანასკნელ წლებში მცირდება სახელმწიფოსათვის ჯანდაგი ხორცის წარმოებამ რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს 140 ათასი მანეთი აზარალა, მაგრამ წინა წლებში ეს მაჩვენებელი ბევრად მეტი იყო. ამიტომაც მიზნად დავისახეთ მთლიანად გამოვრიცხოთ ჩვენი სამეურნეო ცხოვრებიდან ზარალი. ამისათვის კი უნდა გავაუმჯობესოთ ზოოვეტმომსახურება, მოვაწესრიგოთ წუნდება, სანაშენე საქმიანობა, მეტი ყურადღება დავუთმოთ საძოვრების გაუმჯობესებას, მაქსიმალური დატვირთვით გამოვიყენოთ მწვანე სასაძოვრო სეზონი სუქებისათვის, მეცხოველეთა საქმიანობაში უფრო ფართოდ დავნერგოთ მექანიზაცია, მეცნიერების მიღწევები და მოწინავე გამოცდილება.

დიახ, ბევრი რამ გვაქვს მისახედი და მოსაწესრიგებელი. უკვე დავიწყეთ და კვლავაც გავაგრძელებთ მუშაობას სანაშენე საქმიანობის მოსაწესრიგებლად. თუ შარშან ვერ შევასრულეთ რაიონში წველადობის გეგმა, ამისი მთავარი მიზეზი მტკიცე საკვები ბაზის უქონლობის გარდა, ისიც არის, რომ სათანადო ყურადღებას არ ვუთმობთ ჯიშიანობის გაუმჯობესებას. მართალია, გარკვეული მუშაობა კი გავწეთ ამ მხრივ, მაგალითად, ორი წლის წინათ ზაყორის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში შემოვიყვანეთ „ლიტვური წითელი“ ჯიშის დეკეულები, რომლებმაც შარშან უკვე მოგვცეს ნამატი და პროდუქცია, თითოეული მთაგანი წელიწადში საშუალოდ 2300 კილოგრამზე მეტ რძეს გვაძლევს და, იმედია, მომავალ წლებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზრდება, მაგრამ მხოლოდ ამას ვერ დავსჯერდებით. გადაწყვეტილი გვაქვს ადგილობრივ მთის პირობებს შეგუებულ ტანმომცრო ძროხებთან ერთად ბარის ზონისათვის მოვამრავლოთ „ლიტვური წითელი“ და საერთოდ კი მოვაშენოთ „წაბლა კავკასიური“, რომელიც შესანიშნავად ეგუება მთის პირობებს. ყიზლარის საძოვრებზე კი ამჟამად შემოვიყვანეთ გერუფორდის სახოვიანი ჯიშის 107 სული 2-წლიანი დეკეული. მეცხვარეობაში მიზნად დავისახეთ მთლიანად გადავიდეთ თუშურ ჯიშზე, რომელიც შესანიშნავად ეგუება მთის პირობებს.

საზოგადოებრივი შემოსავლის გადიდების, და, მაშასადამე, ეკონომიკის განმტკიცების უდიდესი რეზერვია პირუტყვის საერთო სულადობაში დედა პირუტყვის ხვედრითი წილის გადიდება. ჩვენს მეცხვარეობაში დედა ცხვრის სულადობის გეგმის შესრულება პრობლემად იქცა. ამჟამად მეცხვარეობის ფერმებში გვყავს 43.000 სული დედა ცხვარი (წლის ბოლოს 45 ათასი გვეყოლება), რაც თავისთავად თითქოს ცუდი მაჩვენებელი არ არის, მაგრამ თვითონ განსაჯეთ, რამდენი სული ბატკანი, რამდენი კილოგრამი ხორცი, მატყული, რამდენი მანეთი აკლდება რაიონს იმის გამო, რომ დედა ცხვრის სულადობის გეგმა მხოლოდ 83 პროცენტით არის შესრულებული. იმედი გვაქვს, მდგომარეობა გამოსწორდება, რადგან ამას წინათ რაიონის მეცხვარეებმა შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს და გადაწყვიტეს მარტო წლეულს დედა ცხვრის სულადობა ორი ათასით, ხოლო საერთო სულადობა 4000-ით გაზარდონ, თითოეულ ცხვარზე კი 2,35 კილოგრამის ნაცვლად 2,5 კილოგრამი მატყული მიიღონ. ეს მეტად მნიშვნელოვანი და საშური საქმეა, და ამდენად პარტიის რაიკომმ მომავალში მეცხვარეობის მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და მეცხოველეების საქმიანობას იმის მიხედვითაც შეაფასებს, თუ როგორ ასრულებენ ისინი დედა ცხვრის სულადობის ზრდის გეგმას. საზოგადოებრივი მეცხვარეობის მომგებიანი განვითარების საფუძველთა საფუძველი ხომ დედა ცხვარია...

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყველგან, სახალხო მეურნეობის ნებისმიერ უბანზე საქმის საბოლოო წარმატებას უმთავრესად მაღალკვალიფიციური კადრები წყვეტენ. ამიტომ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის XVII პლენუმის შემდეგ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ საკადრო პოლიტიკას. ამჟამად რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, აგრეთვე სამეურნეობათაშორისო საკვებმომპოვებელ გაერთიანებას უმთავრესად უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები ხელმძღვანელობენ...

პარტიის რაიკომის ბიუროს სხდომებსა და პბრეველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე პეროდულად განიხილება პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხები, მეტი ყურადღება ეთმობა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების გაუმჯობესებას, კომუნისტების ავანგარდული როლის, სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობის ამაღლებას, პარტიულ კონტროლსა და დადგენილებათა შესრულების შემოწმებას.

ახლახანს პარტიის რაიკომის ბიუროს გამსვლელი სხდომა გაიმართა ზაყორის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში. ამის საჭიროება მოითხოვა მეურნეობის მეღორეობის ფერმაში შექმნილმა მდგომარეობამ. ბიურო ღრმად ჩასწვდა ფერმის მუშაობაში არსებული სერიოზული ხარვეზების გამომწვევ მიზეზებს, დასახა მათი გამოსწორების გზები და მიიღო კონკრეტული დადგენილება...

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XX პლენუმის გადაწყვეტილებები, პარტიის მომავალი, XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაჩაღებული საყოველთაო-სახალხო სამზადისი გვავალებს წარმატებით შევასრულოთ მომდინარე წლის და, საერთოდ, მეათე ხუთწლედის დავალებები, რითაც საიმედო საფუძველს შევუქმნით მორგი, მეთერთმეტე ხუთწლედის წარმატებულ სტარტს.

მომდინარე წლის განვლილი პერიოდის მაჩვენებლები კი ცუდი არა გვაქვს. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მავიღეთ ათასით მეტი ბატკანი, სამოცით მეტი ხბო, ყოველ ძროხაზე 4 კილოგრამით მეტი რძე, სახელმწიფოს მივყიდეთ 728 ცენტნერით მეტი ხორცი, 576 ცენტნერით მეტი რძე, 800 ცენტნერით მეტი მატყული, 41 ათასი ცალით მეტი კვერცხი.

წლის დასაწყისი მართლაც კარგია, ადამიანთა განწყობილება და შემართება — უკეთესი. ეს კი იმის მკვიდრი საწინდარია, რომ ახალი შრომითი წარმატებებით შევეგებებით სკკ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

ა. თინიკაშვილი,
პარტიის ლენინგორის რაიკომის პირველი მდივანი.

ყოველივე საუკეთესო—გავშვებს

თბილისის ქალთა საქალაქო საბჭომ და ალკ თბილისის საქალაქო კომიტეტმა ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში მოაწყვეს საზეიმო სხდომა, რომელიც ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა. საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ნ. გურგენიძემ.

ჩვენს ქვეყანაში თანამიმდევრულად ხორციელდება ლენინური პრინციპი „ყოველივე საუკეთესო ბავშვებს“. მათი სკოლებში სწავლისათვის, სამავშვო ბაღებსა და ბაგებში, ბიბლიოთეკებში, პიონერთა სასახლეებსა და სახლებში, კურორტებსა და პიონერთა ბანაკებში მომსახურებისათვის იხარჯება მილიარდობით მანეთი. ბავშვების განკარგულებაშია ქორეოგრაფიული სტუდიები და ტექნიკის სახლები, სტადიონები და ლაბორატორიები, მოყვარულთა კინოსტუდიები და სპორტული დარბაზები. ამის შესახებ ილაპარაკეს მომხსენებელმა — თბილისს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ქვანინამ, სხდომაზე გამოსულებმა თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ გენერალურ მ ა დირექტორმა ზ. ჩიკაძემ, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადირმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა გ. კურტანიძემ, პოეტმა ნ. კილასონიამ და სხვებმა.

დასასრულ გაიმართა კონცერტი ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების მონაწილეობით.

სხვებმა სხდომაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ზ. კვაჭაძე. (საქინფორმი).

საერთაშორისო ცხოვრება
ლენინგორის ჟურნალი

სამარცხვინო ბოიკოტი

თეირანი, 2 ივნისი. დღეს აქ გაიხსნა ირანის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული აქციების გამოძიების საერთაშორისო კონფერენცია. მის მუშაობაში მონაწილეობენ 50 ქვეყნის 100-ზე მეტი დელეგატი, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა, რეგიონალურ და საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

როგორც კონფერენციის გენერალურმა მდივანმა აჰმად სალამატიანმა გახაცხადა, დელეგატებს წარუდგენენ დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებს ირანში ამერიკის ადმინისტრაციის ძირგამომთხრელ საქმიანობას, ამერიკის ბანკებისა და კორპორაციების მიერ ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრეთა ძარცვას, ჯაშუშობას.

ისლამური რევოლუციის ლიდერმა აიათოლა ხომეინიმ წერილი გაუგზავნა საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს. ირანის მთავრობა და ხალხი, ნათქვამია წერილში, საერთაშორისო კონფერენციას ვერ გადასცემენ ყველა დოკუმენტს, რომლებიც მოწმობს ნახევარი საუკუნის მანძილზე შაჰის ყოფილი რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულს, ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევას ირანის საქმეებში ამ ქვეყანაში მისი ოცდაათი წლის ბატონობის მანძილზე. შეუძლებელია კონფერენციის მონაწილეებს გადაეცეთ შეუძლებელია შევადგინოთ ყველა იმათი სია, ვინც მასობრივი ხვრეტის შედეგად დაიღუპა მთელ ქვეყანაში, შეუძლებელია დაწვრილებით აღიწეროს ყველა ხელშეკრულება და კონტრაქტი, რომლებიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და შაჰის რეჟიმმა მოახვიეს თავს ირანელ ხალხს. ირანის მთავრობას შეუძლია წარმოადგინოს ასეთი დოკუმენტების მხოლოდ მცირე ნაწილი, რომელთა მოსპობა ამერიკის შეერთებული შტატების აგენტებმა ვერ მოასწრეს.

დამოუკიდებელი ირანის ტერიტორიაზე ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული დესანტის გადმოსხმა ყოველად გაუმართლებელი ბოროტმოქმედებაა. პრეზიდენტი კარტერი აცხადებს, რომ იგი კვლავ მიმართავს შეიარაღებულ შეჭრას ირანში.

ახლა, თქვა დასასრულ ხომეინიმ, ჩვენი ხალხის თვალი მოპყრობილია თქვენდამი, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებისადმი, რომლებიც ირანში ჩამობრძანდნიო, რათა გამოიძიოთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ყოფილი შაჰის მიერ ჩადენილი დანაშაული. ხალხი თქვენგან სამართლიანობასა და ჰუმანურობას მოელის.

კუბის ეროვნული საინფორმაციო სააგენტოს ცნობა

ჰავანა, როგორც კუბის ეროვნული საინფორმაციო სააგენტო იუწყება, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კუბა კონსულტაციებს შეუდგა მიუმხრობლობის მოძრაობის წევრ სახელმწიფოებთან, რათა დაადგინოს, თუ რამდენად შესაძლებელია მიმდინარე წლის ივლისში გაიმართოს საგანგებო კონფერენცია მინისტრების დონეზე.

ეს კონფერენცია, რომლის მოწყობის იდეა ალჟირ ჰავანაა შემოთავაზებული, აღნიშნა სამინისტროს წარმომადგენელმა, განიხილავს მთლიანად საერთაშორისოო ვითარების საკითხებს, მის როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ ასპექტებს. კონფერენციის მიზანი იქნება მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების განმტკიცება.

მოკლედ
ყოველი მხრიდან

2 ივნისი

● **პრაღა.** მომდევნო ხუთწლედში ჩეხოსლოვაკიის ენერგეტიკული მშენებლობის პროგრამის საფუძველი იქნება ატომური ელექტროსადგურები. იანლოვსკ-ბოგუნიცის ატომური ელექტროსადგურის გვერდით, რომელიც ამ ორი დღის წინათ ამოქმედდა, შენდება მეორე ასეთივე სადგური.

● **პარიზი.** საბჭოთა ჯილდოები — ხალხთა მეგობრობის ორდენები გადაეცა საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის ვეტერანთა ჯგუფს. მათ ეს ჯილდო მიენიჭათ მეორე მსოფლიო ომის წლებში ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დამსახურებისა და იმ დიდი წვლილისათვის, რომელიც საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში შეიტანეს.

● **ვაშინგტონი.** ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია საგანგებო ღონისძიებებს ახორციელებს, რათა გაკოტრებისაგან იხსნას ავტომობილსაშენებლო კორპორაცია „კრაისლერი“. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის საგენტო იუწყება, თეორმა სახლმა ქვეყნის 135 ბანკის წარმომადგენლებთან მიაღწია შეთანხმებას კომპანიისათვის 5 მილიარდი დოლარი სესხის მიცემის შესახებ.

კუბის ეროვნული საინფორმაციო სააგენტოს ცნობა

ჰავანა, როგორც კუბის ეროვნული საინფორმაციო სააგენტო იუწყება, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კუბა კონსულტაციებს შეუდგა მიუმხრობლობის მოძრაობის წევრ სახელმწიფოებთან, რათა დაადგინოს, თუ რამდენად შესაძლებელია მიმდინარე წლის ივლისში გაიმართოს საგანგებო კონფერენცია მინისტრების დონეზე.

ეს კონფერენცია, რომლის მოწყობის იდეა ალჟირ ჰავანაა შემოთავაზებული, აღნიშნა სამინისტროს წარმომადგენელმა, განიხილავს მთლიანად საერთაშორისო ვითარების საკითხებს, მის როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ ასპექტებს. კონფერენციის მიზანი იქნება მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების განმტკიცება.

მუქარის მიუხედავად

ვაშინგტონი, 2 ივნისი. ათი წლის პატიმრობა და 50 ათასი დოლარი ჯარიმა — ასეთი სასჯელი მოელით ამერიკელებს, რომლებიც გაბედავენ ირანში გამგზავრებას. ეს გამოაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრმა სივილეტიმ.

ვის უპირებს ამერიკის თემიდა თავისი მსახვრალი მახვილი ჩასცეს? როგორც აქ პოლიტიკური მეთვალყურენი აღნიშნავენ, იუსტიციის სამინისტროს სანქციები მიმართული იქნება უწინარეს ყოვლისა იმ ამერიკელ იურისტთა წინააღმდეგ, რომლებიც აპირებენ მონაწილეობა მიიღონ ირანის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ აქციათა გამოძიების საერთაშორისო კონფერენციაში. ამერიკის ადმინისტრაცია შიშობს, რომ კონფერენციის მასალები საზოგადოებრიობისათვის ცნობილი გახდება.

ხუთი კაცი ამერიკის დელეგაციის შემადგენლობიდან დაპყავა ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფალთა ზეგავლენა და უარი თქვა გამგზავრებაზე.

მაგრამ, ადმინისტრაციის მუქარის მიუხედავად, ამერიკელ იურისტთა დელეგაცია ათი კაცის შემადგენლობით, რომლებსაც მეთაურობს იუსტიციის ყოფილი მინისტრი რ. კლარკი, როგორც თეირანიდან მოსული ცნობები მოწმობენ, დღეს ირანის დედაქალაქში ჩავიდა.

ვაშინგტონი, 2 ივნისი. ანტისაბჭოური ისტერიით შეპყრობილმა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მკვეთრად გააქტიურა ძირგამომთხრელი პროპაგანდისტული საქმიანობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და მოურიდებლად უგულებელყო ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლ ო ბ ი ს თათბირის საბოლოო აქტის დებულებანი.

ეროვნული უშიშროების საბჭოს, კერძოდ „კონფრონტაციის არქიტექტორის“ ბჟეზინსკის რეკომენდაციებით მნიშვნელოვნად გაიფართოეს და შეავსეს „რადიოდიფერსიების პროგრამა“, რომელიც პრეზიდენტმა კარტერმა თავდაპირველად 1977 წელს გამოაცხადა. მთავარი ყურადღება ეთმობა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ეთერის მომწამლელი რადიოსადგურების „თავისუფლების“ და „თავისუფალი ევროპის“ ეფექტიანობის გადიდებას. მომდინარე საფინანსო წელს ამ ძირგამომთხრელი ცენტრების საჭიროებისათვის გამოყოფილია 93,9 მილიონი დოლარი. წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიამ, რომელიც მხარს უჭერს ადმინისტრაციის პროვოკაციულ ზრახვებს, ამ ცოტა ხნის წინათ ხმა მისცა კიდევ 3 მილიონი დოლარის გამოყოფას „თავისუფლებისა“ და „თავისუფალი ევროპის“ რადიოსადგურებისათვის. მომავალ საფინანსო წელს კი საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერების ინსტრუმენტთა ფონდები დაგეგმილია 113,5 მილიონი დოლარის დონეზე.

ამერიკის ოფიციალურ პირთა განცხადებებით, ამჟამად დაჩქარებული ტემპით ხორციელდება რადიოსადგურების „თავისუფლებისა“ და „თავისუფალი ევროპის“ სიმძლავრეთა გადიდება, რომლებიც „მოდერნიზაციის“ შედეგად ერთიორად გაიზრდება. დასავლეთ გერმანიისა და პორტუგალიის ტერიტორიაზე შენდება ერთბაშად 11 ახალი რადიოგადამცემი, რომელთაგან ზოგიერთი უკვე მიმდინარე წლის ზაფხულში ჩადგება მწყობრში.

ანტისაბჭოურ ო ბ ი ს გავრცელების ბინძურ საქმეში ჩაბმული არიან ვაშინგტონის სატელიტები — ეგვიპტე და ისრაელი, რომლებიც უსიტყვოდ დაეთანხმნენ ამერიკის სატრანსლაციო სადგურების აგებას თავიანთ ტერიტორიაზე. როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ წერდა, ყოველივე ეს ერთად აღებული ამერიკის შეერთებულ შტატებს შესაძლებლობას მისცემს არსებითად გაადიდოს სსრ კავშირის შესახებ რადიოგადაცემების „მოცულობა და სიხშირე“. ამჟამად რადიოდივერსანტები სიცრუის ტრანსლაციას საბჭოთა კავშირის ხალხთა 15 ენაზე აწარმოებენ, ახლა კი გადაწყვიტეს „ენობრივი ნომენკლატურა“ საბჭოთა კავშირის კიდევ 7 ენით გაფართოონ.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი რეზიდენტი თურქეთში, ხოლო ამჟამად ბჟეზინსკის თანაშემწე პ. ხენზე ხელმძღვანელობს დეზინფორმაციის ოფ ი ც ი ა ლ უ რ ი ორგანოს „ამერიკის ხმის“ განმტკიცების ოპერაციას. მომდინარე საფინანსო წელს „ხმის“ ბიუჯეტს გაადიდებენ 83 მილიონ დოლარამდე, ხოლო გაისად იგი 100 მილიონ დოლარს მიუახლოვდება.

ანტისაბჭოურობისა და ანტიკომუნიზმის ამერიკულ რუპორთა ტექნიკური საშუალებების „მოდერნიზაციის“ მიუხედავად, ზოთი მიზნები უცვლელი რჩება. ახალი როდია მეთოდები, რომლებთაც ვაშინგტონი სარგებლობს სსრ კავშირის წინააღმდეგ „ფსიქოლოგიურ ომში“.

დღე ისე არ გაივლის, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მოდვაწეები, თეთრი სახლის, სახელმწიფო დეპარტამენტის, პენტაგონისა და სხვა უწყებების ოფიციალური წარმომადგენლები არ გამოვიდნენ უხეში ანტისაბჭოური ცილისწამებით და დეზინფორმაციით, რომლებიც უხვად იღვრება ეთერში, გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე. მარტო უკანასკნელი კვირის განმავლობაში, მაგალითად, სახელმწიფო დეპარტამენტმა, ბოროტი ინსინუაციების გარდა „გზადაგზა“ გაავრცელა არაერთხელ ოფიციალურად მხილებული და უარყოფილი ნაყალბევები ავღანეთში „საბჭოთა ტერორის“, „სსრ კავშირის მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის შექმნის“ შესახებ.

აღსანიშნავია, რომ თვით ადმინისტრაციის ოფიციალური წარმომადგენლებიც კი საკმაოდ ადვილად აღიარებენ სიცრუეს. ახასიათებდა რა გაზეთ „ბალტიმორ სანში“ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ავღანეთის ამბების „ანალიზს“, ერთმა მათგანმა „შესაძლებლად მიიჩნია“, რომ ყოველივე ეს „პროპაგანდაა“, სხვანაირად რომ ვთქვათ, ფაქტების განზრახ დამახინჯება. მეორე გაზეთი — „ვაშინგტონ სტარი“ იუწყებოდა ადმინისტრაციის თანამშრომლის გამონათქვამის შესახებ, რომელმაც დაადასტურა, რომ ვაშინგტონმა თავის იარაღად გაიხადა გებელსის პროპაგანდის პრინციპები — რაც უფრო მეტი სიცრუეა, მით უფრო მეტი შანსია, რომ მას დაუჯერებენ.

ასეთია საფუძველი ამერიკის შეერთებული შტატების მთელი პროპაგანდისტული აპარატისა, რომელიც დაძაბულობის შენელებისათვის ძირის გამოთხრისა და საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერების კურსს ადგა.

უუფლებობის სიმბოლოდ



სიკოსი, მხატვარი, მწერალი — იძულებულია „ამერიკული თავისუფლების საზოგადოებაში“ მოხეტიალე ცხოვრება მიჰყოს ხელი და გამვლელ-გამომვლელთა მოწყალებით ირჩინოს თავი. ხოლო იმათ, ვინც მშრომელთა ინტერესების დასაცავად აღიმაღლებს ხმას, მკაცრად უსწორდებიან.

სურათებზე: ნიუ-იორკის ქუჩებში მოწყალებას თხოულობს უსინათლო კომპოზიტორი, მაგნიტოფონზე ჩაწერილი მუსიკა უკრავს გამვლელებისათვის, პლაკატზე კი შემდეგი სიტყვებია: „ეს მუსიკა მე დავწერე“ (მარცხნივ); პოლიციელები უსწორდებიან დემონსტრაციის მონაწილეებს.

საკადრისი ფოტოქრონიკა.



სულ უფრო აშკარავდება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის თვალთმაქცური პოლიტიკის არსი. ქვეყნის მილიტარისტულ კურსს ეწირება საერთო-სახალხო ინტერესები. მილიონობით ადამიანი უმუშევარია, მრავალი სპეციალისტი, ხელოვნების მუშაკი — მუ-

ზოგი რამ სხვათა შორის

მეხსიერება

სრულყოთ ქიმიური წარმოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების კომისიებში

კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მრეწველობის კომისიათა გაერთიანებული სხდომა. განიხილეს საკითხი, თუ როგორ ასრულებს სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრო სახელმწიფო საგეგმო დავალებებსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივი კომისიების რეკომენდაციებს უმნიშვნელოვანეს სახეობათა ქიმიური პროდუქციის წარმოების განვითარების შესახებ.

მოხსენებებსა და დეპუტატთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ქიმიური წარმოება უპირატესი ტემპით ვითარდება. ამ დროის განმავლობაში ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 7,8-ჯერ გაიზარდა. მარტო ორ წინა ხუთწლედში თითქმის ერთისამად გადიდდა მინერალური სასუქების გამოშვება და ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში პირველ ადგილზე გავიდა მისი წარმოების საერთო მოცულობის მხრივ. სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასალების წარმოება ამ პერიოდში გაიზარდა 3,5-ჯერ, ქიმიური ბოჭკოს და ძაფის გამოშვება — თითქმის 2,3-ჯერ.

მნიშვნელოვნად იმატა სხვა უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების მოცულობამაც.

ამასთანავე აღინიშნა, რომ სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ, რომელმაც დარგისადმი ხელმძღვანელობის განხორციელებისას გარკვეული წარმატებებს მიაღწია, ამავე დროს ვერ უზრუნველყო იმ კურსის სრული პრაქტიკული ხორცშესხმა, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ გამოაცხადა და რომლის მიზანია ყოველნაირად გავზარდოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, დავაჩქაროთ ტექნიკური პროგრესის ტემპი, უკეთ დავაკმაყოფილოთ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება მრეწველობის პროდუქციაზე. გარდა ამისა, სამინისტროს არ განუხორციელებია ყველა საჭირო ღონისძიება ქიმიური ინდუსტრიის განვითარების ფართო პროგრამის რეალიზაციისათვის.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი. (საკდესი).

კოსმოსელი ძმების სიტყვა

საერთაშორისო ეკიპაჟის პრესკონფერენცია საგზოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის

მოსკოვი, (საკდესი). დედამიწისირგვლივ ორბიტაზე მუშაობს კოსმოსელთა ერთსულოვანი ოთხეული. მეხუთე საფრთხორისო ექსპედიციის წევრებმა, რომლებიც „ინტერკოსმოსის“ პროგრამის შესაბამისად მუშაობენ, უკვე შეასრულეს ბევრი სამეცნიერო-ბიოლოგიური, გეოფიზიკური და ტექნოლოგიური ექსპერიმენტი, ყველი სამუშაო დღის გრაფიკი უაღრესად დაძაბულია. და ოთხივე კოსმონავტი მზოლოდ გვიან საღამოს მოიცლის ხოლმე საერთო მაგიდასთან შესაკრებად. ასეთი შეხვედრის საბაბი გახდა ფრენის მართვის ცენტრში აკრედიტებული საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართული პრესკონფერენცია.

დიდ ტელეეკრანზე ერთსულოვანი ოთხეული მოჩანს. კოსმონავტებს სახეზე ღიმილი დასთამაშებთ. მაგიდის თავზე ზეგავთ საბჭოთა და უნგრულ ალმებს. ლ. ი. ბრეჟნევისა და ი. კადარის პორტრეტებს.

მაშ, ასე, სიტყვა კოსმოსელ ძმებს ეკუთვნით. გაზეთების „პრავდის“, „ნეპსაბადშაგისა“ და „უნენის“ კორესპონდენტებმა ჰკითხეს ბერტალან ფარკაშს, როგორი იქნა კოსმოსური შთაბეჭდილებები.

— მე დიდხანს ვემზადებოდი უწონობასთან შეხვედრისათვის, — თქვა ფარკაშმა. — და რამდენიმე კვირას, შეიძლება ითქვას, თავდაყირა მეძინა საწოლზე. ვფიქრობ, წვრთნას ამაოდ არ ჩაუვლია, უკვე მეორე დღეს შევეგუე ფრენას.

კორესპონდენტებმა ვალერი კუბასოვს სთხოვეს გაეზიარებინა შთაბეჭდილებანი ახალ მეგობართან მუშაობის შესახებ. მისგან კარგი კოსმონავტი დადგა, თქვა ვალერიმ, იგი თავდადებე საუცხოოდ მუშაობდა. მე ჯერ კიდევ სტარტამდე ვიყავი ამაში დარწმუნებული. ერთხელ კიდევ რომ მომიწოდა ფრენამ, ეკიპაჟში ბერტალანს ავიყვანდი.

უნგრეთის დეპეშათა სააგენტოს, პრენსა ლატინას, მონცამეს სააგენტოებისა და საკდესის კორესპონდენტებმა ჰკითხეს ფარკაშს, თუ როგორ ეხმარება მას ორბიტაზე მუშაობაში სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენელი კოსმონავტი კოლეგების გამოცდილება. ფრენიდან დაბრუნების შემდეგ, თქვა მან, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ბულგარეთის კოსმონავტებმა გაგვაცნეს თავიანთი მუშაობის თავისებურებები. და ამან ფასდაუდებელი დახმარება გამიწია. დიდ სიხარულს მანიჭებს ასეთ სოლიდურ ინტერნაციონალურ სამეცნიერო ლაბორატორიაში მუშაობა.

ხომ არ შეცვლილა ხუთი წლის მანძილზე კოსმოსიდან დანახული დედამიწის ხედი, ჰკითხეს ვალერი კუბასოვს, რომელმაც უკანასკნელი ფრენა „სოიუზ“-„სალიუტის“ პროგრამით შეასრულა. ჩვენი პლანეტა, თქვა მან, ისეთივე შშვენიერია, როგორიც ხუთი წლის წინათ. მე ყოველ წუთს ვრწმუნდები ამაში, როცა აღტაცებულ ბერტალან ფარკაშს ვუყურებ, იგი ილუმინატორს ვერ სცილდება. ახლა კი ეკიპაჟი ეკითხება ჟურნალისტებს.

— როგორ შეხვდნენ უნგრეთში უნგრელი კოსმონავტის ფრენას;

უნგრელი კოსმონავტის დუბლიორმა ბელა მარიარიმ, რომელიც თავის მეთაურთან ვლადიმერ ჯანიბეკოვთან ერთად უძღვებოდა დღეს პრესკონფერენციას თქვა:

— ყოველ საღამოს ათასობით ადამიანი გამოდის ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში და მოელის, როდის გამონრდება ცაში უჩვეულო ვარსკვლავი, ყველანი მხურვალე სალამს უთვლიან თქვენს ორბიტულ სახლს, გისურვებენ ბედნიერ კოსმოსურ ვახტს.

ვისწავლოთ და ვიმუშაოთ „ფრიადზე“!

ასეთია თბილისში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართული პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლების სწავლის ფრიადოსანთა ტრადიციული VI რესპუბლიკური შეკრების დკვიზი.

შეკრება გახსნა საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. რიგვავამ.

შეკრების მონაწილეებისადმი რესპუბლიკის პროფსაბჭოს, საქართველოს აკკკ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. რიგვავამ.

შეკრების მონაწილეებისადმი რესპუბლიკის პროფსაბჭოს, საქართველოს აკკკ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. არმაზ ვლადიმერის ძე პაიჭაძე — კომკავშირულ, პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით.

ამირკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის მმართველი ამხ. ამირან ნიკოლოზის ძე **საგანელიძე** — სატრანსპორტო მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოდნენ:

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. არმაზ ვლადიმერის ძე **პაიჭაძე** — კომკავშირულ, პარტიულ და სამეურნეო

ტრადიციის ერთგულება

მართლწესრიგის განმტკიცება — მთავარი საზრუნავი

ფოთი სახელოვანი რევოლუციური და შრომითი ტრადიციების ქალაქია. ეს ტრადიციები დღესაც ცოცხლობს და გამოხატულებას შრომელთა ყოველდღიურ საქმიანობაში პოულობს. უთუოდ გამართულად მუშაობენ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, ის ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც მატერიალურ დოვლათს ქმნიან. ხუთწლედის დავალებათა შესრულება ჩვენი მთავარი საბრძოლო ამოცანაა, მაგრამ ამასთანავე განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ მართლწესრიგის დაცვას, სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.

ქალაქ ფოთის 43-ე საქალაქო პარტიული კონფერენციაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ განსაზღვრა ქალაქის პარტიული ორგანიზაციის, ყველა მშრომელის ამოცანა მეათე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ შარშან მიიღეს დადგენილება ფოთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დამატებითი ღონისძიებების შესახებ.

მართლწესრიგის დაცვისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება ამ დადგენილებით დასახული პროგრამის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. შრომითს კოლექტივებში წარმოიშვა ახალი, საყურადღებო თაოსნობანი. ფართო გამხმაურება პოვა ფოთის „ელექტროაპარატის“ ქარხნის მშრომელთა ინიციატივამ — სანიმუშო საზოგადოებრივ წესრიგს საყოველთაო-სახალხო ყურადღება, ბრძოლა გამოვუცხადოთ ოთხ სოციალის ტ ურ ი საკუთრების დამტაცებლებს, ქურდებს, მუქთახორებს, საბჭოთა საზოგადოების სხვა ანტიპოდებს“.

მართლწესრიგის დასაცავად ჩვენს მუშაობას მძლავრი სტიმული მისცა რესპუბლიკის წლევანდელმა პარტიული აქტივის კრებამ და ამ კრებაზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა, პარტიის საქალაქო კომიტემ და საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ამ ბოლო დროს მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელეს სახელმწიფო და პარტიული დისციპლინის, მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, ხელმძღვანელი კადრების პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის. ერთობლივ სხდომებზე სისტემატიურად ვისმენთ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა ინფორმაციებს ქალაქში არსებული ოპერატიული მდგომარეობის შესახებ. ასეთი პრაქტიკა ამაღლებს შინაგან საქმეთა განყოფილების, პროკურატურის, სახალხო სასამართლოს მუშაკთა პასუხისმგებლობას.

პარტიის საქალაქო კომიტეტთან და საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფები, რომელთა ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყონ დანაშაულებრივი ხელყოფისაგან სახელმწიფოსა და მშრომელთა ინტერესების დაცვის ღონისძიებათა კოორდინირება, უფრო შემტევი ხასიათი მისცენ მართლწესრიგის დაცვისათვის ბრძოლას. ხორციელდება ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმა დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში, გამოვაცოცხლეთ დეპუტატთა საუბნო საბჭოების, ქუჩის კომიტეტების, წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქმიანობა. მსხვილ საწარმოებში შეიქმნა მილიციის საყრდენი პუნქტები, გაიშალა მუშაობა დევიზით, — „გადავაქციოთ ჩვენი ქალაქი სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისა და მაღალი კულტურის ქალაქად!“

განსაკუთრებულ ყურადღებას ეუთმობთ გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერებას. საქალაქო საბჭოს აღმასკომი და მისი შესაბამისი კომისიები სისტემატურად ამოწმებენ მილიციის საყრდენი პუნქტების, სადეპუტატო საბჭოების საქმიანობას, იღებენ ზომებს საცხოვრებელ მასივებში, საყრდენი პუნქტების სამოქმედო მიკროუბნებში საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის, საზოგადოებრივ წარმოებაში დაუსაქმებელ მოქალაქეთა გამოვლენისა და შრომაში ჩაბმისათვის. მაგალითად, ამ ბოლო დროს გამოვლენილ 250 ასეთი მოქალაქედან 215 უკვე ჩავაბით საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში.

წესრიგი ყველგან უნდა სუფევდეს — საწარმოებში, საცხოვრებელ მასივებში, საზოგადოებრივ ადგილებში. ჩვენი ყურადღება მიიქცია იმან, რომ მოქალაქეთა ბინებს ქურდავდნენ დღისით, როცა შინ არავინ იყო. ამან გვიკარნახა შემოგვეღო მორიგეობა სადარბაზოებში. ასეთმა ღონისძიებამ კარგი ნაყოფი გამოიღო: ახლა თითოეულმა მუშამ თუ მოსამსახურემ კარგად იცის, რომ, როცა იგი სამუშაოზეა, მისი ბინა დაცულია ხელყოფისაგან.

დიდი ყურადღება ეთმობა დანაშაულობათა ისეთი წყაროების წინააღმდეგ ბრძოლას, როგორიც ალკოჰოლიზმი და ნარკომანიაა. ამ მიმართულებით მთელი რიგი ეფექტიანი ღონისძიებანი ხორციელდება. ქალაქის № 1 პოლიკლინიკაში გაიხსნა ნარკოლოგიური კაბინეტი და ლაბორატორია, სადაც მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მუშაობენ. საქალაქო საბჭოსთან არსებული ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისია წინასწარ შემუშავებული გეგმის საფუძველზე თანამიმდევრულად ებრძვის ამ ბოროტებას.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ დანაშაულობათა მნიშვნელოვანი ნაწილი ჩადენილია აღრე სახამართლევ პირთა და არასრულწლოვანთა მიერ. ამიტომ მართლწესრიგის განმტკიცებისათვის მთელი ჩვენი მუშაობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად გადაიქცა პატიმრობიდან დაბრუნებულ მოქალაქეთა შრომითი მოწყობა, დღენიადაგ ზრუნვა მათი საყოფაცხოვრებო პირობების, არასრულწლოვანთა გიერთი ინერტული და, პირდაპირ უნდა ითქვას, უპასუხისმგებლო მუშაკის განთავისუფლება. სამაგიეროდ გახყოფილება გაძლიერდა უნარიანი და საქმით დაინტერესებული ახალგაზრდა პარტიული კადრებით. მაგალითად, პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის მუშაკები ე. კუკუტაძისა, ნ. თავბერიძე, და ბ. ჯოარკაძა, სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი რ. კუკუხიძე და სხვები სამუშაოდ გაიგზავნენ შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებაში, ხოლო საზღვაო ნავსადგურის პარტიული კომიტეტის მდივანი კ. უჩანეიშვილი, რომელიც 2 წლის წინათ განყოფილების უფროსის მოადგილედ დაინიშნა პოლიტდარგში, ამას წინათ პარტიის საქალაქო კომიტეტის სავაჭრო, საფინანსო და ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგედ დაწინაურეს.

საქალაქო საბჭოს აღმასკომი ასებებს ყურადღებას უთმობს საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილ საშიშ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას. შეიძლება ითქვას, რომ აქ ერთგვარ დადებითს ტენდენციებთან გვაქვს საქმე. შინაგან საქმეთა განყოფილებამ 1978 წელს მეზობლური დავის შედეგად რამდენიმე სისხლის სამართლის დანაშაულის საქმე აღძრა, 1979 წელს კი უფრო ნაკლები. ოჯახური თუ მეზობლური დავის არც ერთი შემთხვევა არ რჩება ურეაგირებოდ, ყოველ ასეთ საქმეს ეძლევა სათანადო მიმართულება. ამან ხელი შეუწყო ამ კატეგორიის დანაშაულობათა შემცირებას.

როგორი სურათი გვაქვს ამჟამად ქალაქში: მოგვცა თუ არა საჭირო ეფექტი განხორციელებულმა ღონისძიებებმა?

ახლახან მარტიის საქალაქო კომიტეტმა და საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მოისმინეს ადმინისტრაციული ორგანოების ანგარიში მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლის შედეგების შესახებ. ერთგვარი საიმედო ძვრების მიუხედავად დანაშაულობათა სტრუქტურა და დინამიკა იმაზე მიგვითითებს, რომ ქალაქში არსებული ოპერატიული ვითარება სრულებით არ იძლევა დამშვიდების საფუძველს. დანაშაულობანი სიხლის სამართლის სამძებროს ხაზით გაიზარდა, ხოლო დანაშაულთა გახსნის პროცენტი შემცირდა. სიმთვრალეში ჩადენილია საერთო დანაშაულობათა 23,3 პროცენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ ლოთობასთან ბრძოლა ჯერ კიდევ მთელი ძალით არ არის გაჩაღებული. დეპუტატთა საბჭოების, მილიციის საყრდენი პუნქტები, ბინათკომიტეტები, საწარმოთა პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები არ ქმნიან შეუწყნარებლობის ატმოსფეროს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ, სუსტად არის დაყენებული ახსნა-განმარტებითი, გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობა. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება მიუტევებელია, რადგან სწორედ ლოთობა და ალკოჰოლიზმი წარმოადგენს საშიშ საყოფაცხოვრებო დანაშაულობათა წყაროს.

ჯერ კიდევ დიდი მუშაობა გვმართებს არასრულწლოვანთა დანაშაულის აღსაკვეთად. რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებაზე, რომელიც მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლის საკითხებს მიეძღვნა, აღინიშნა, რომ არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი ყოველი დანაშაული უნდა აღვიქვათ ჩვენს საერთო ხარვეზად, ყოველი დამახინჯებული ყმაწვილის ბედი — ჩვენს საერთო სატკივრად. არასრულწლოვანთა დანაშაულის პროფილაქტიკაში ჩვენ ჯერ კიდევ მართლაც სეროიზული ხარვეზები გვაქვს და მათს ჰიმოსაფხვრელად ბრძოლა ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს თავის უმთავრეს ამოცანად მიაჩნია.

თავისი ტრადიციების ერთგული ფოთის სახელოვანი მუშათა კლასი, პარტიული ორგანიზაცია, ყველა კომუნისტი ძალონეს არ დაიშურებენ, რათა ნამდვილად გადააქციონ თავიანთი ქალაქი სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისა და მაღალი კულტურის ქალაქად.

გ. კუხალეიშვილი,
ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ეს ამაუი ოდოგა — რაზმელი

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების რესპუბლიკური შეკრება

საქართველოს სახალხო რაზმელთა საქმიანობა, რესპუბლიკაში საზოგადოებრივი წესრიგის ყოველი ღონისძიებით განმტკიცებისათვის მათი ბრძოლის ეფექტიანობა ყოველმხრივ გაანალიზეს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მესამე რესპუბლიკურ შეკრებაზე, რომელიც თბილისში გაიმართა.

„მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და საქართველოს პარტიული აქტივის კრების გადაწყვეტილების შესაბამისად რესპუბლიკის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მუშაობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების რესპუბლიკური შტაბის უფროსმა ო. ე. ჩერქეზიამ.

შეკრებაზე გამოაცხადეს დათვალიერების შედეგები, დაასახელეს გამარჯვებულები. მათ შორის არიან თბილისის კიროვის რაიონისა და ქუთაისის ლენინის რაიონის, მცხეთის რაიონის, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ თხილნარისა და სხვა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების შტაბები.

რესპუბლიკური შტაბის ვიმპელებით დაჯილდოვეს ქალაქების ფოთის, ტყვარჩელის, ლანჩხუთის, ახალციხის, აბაშისა და. გურჯაანის რაიონების, წალენჯიხის რაიონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, ცხინვალის ქარხანა „ელმავალსადენის“, კასპის რაიონის ახლაქალაქის საშუალო სკოლის, თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის სახალხო რაზმეულები. (საქინფორმი).

ნაქურდალზე წაასწრეს

ფელეტონი

ცნობილია, რომ ვაშლი უხვად შეიცავს ცოცხალი ორგანიზმისათვის მეტად საჭირო „ც“ ვიტამინს. ცხინვალის რაიონის არცევის საბჭოთა მეურნეობის ხილის მიმღები პუნქტის გამგე ვიქტორ შალვას ძე გოიაევი კი ორი ათეული წლის დაკვირვებით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ვაშლი მცირე ოპერაციის შედეგად იქცევა ვიტამინ „ფ“-დ ანუ ფულად. როგორ? სულ უბრალოდ.

მისი მოყვანისათვის სულაც არ არის აუცილებელი ოფლის ღვრა, ხეხილის მწკრივთშორისების ხვნა, შხამქიმიკატებით შეწამვლა და წვალება, — ამბობს ვიქტორი, — თუ მოაწერხეგ და ხილის პუნქტის გამგედ დაჯდები, მეტი არაფერია საჭირო — შემოდგომაზე შენთან მოვა ხეხილის ბაღების მთელი ბარაქა.

მართლაც, შარშან მეურნეობაში მოყვანილი მთელი ხილი არცევის ხილის პუნქტში ვ. გოიაევს ჩაბარეს. მან მაშინვე დაიანგარიშა, რამდენი კილოგრამი უნდა გაეცურებინა განზე და ფულად ექცია. მაგრამ ამჯერად არ დასცალდა საქმე ბოლომდე მიეყვანა. სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს სოციალისტური საკუთრებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსის მერაბ იმედაშვილის მეთაურობით მილიციის ოპერატიულმა ჯგუფმა გამოამჟღავნა ვაშლის ფულად გადაქცევის ვიქტორისეული ოპერაციის საიდუმლოება.

ეს მოხდა შარშან ნოემბერში. საღამო ხანს ხილის პუნქტის წინ „ჟიგული“ გაჩერდა. სწრაფად, ხალისიანად გადმოვიდა შუახნის კაცი.

— მოხვედი, ჭიჭიკო? — ღიმილით შეეგება პუნქტის გამგე, — პირობაზე ხომ მტკიცედა ხარ?

— მაშა, კაცო.

— ბიჭიკო, აბა 64 ყუთი დაუდეთ მანქანაზე. ვალოდი, შენ აქ მოდი! — მოუხმო გამგემ მძღოლს, ვლადიმერ ხუბულოვს...

ალექსანდრე (ჭიჭიკო) გოგიაშვილმა ფული მიუთვალა პუნქტის გამგეს, მერე გარეთ გამოვიდა და მტვირთავებს ხელი შეაშველა. სწრაფად ჩატვირთეს მანქანაში 64 ყუთი ვაშლი. მალე მეზობელ სოფელ ჯარიაშენში (გორის რაიონი) ამოყვეს თავი.

ჭიჭიკოს თავისი ძმისშვილი შინ არ დაუხვდა, მაგრამ საკუთარივით შეაღო თამაზ გოგიაშვილის სახლის სარდაფის კარი. ყუთები ჩამოცალეს. მერე წასასვლელად დასხდნენ. ის იყო ჭიქა ასწია ჭიჭიკო გოგიაშვილმა, რომ დაუპატიჟებელი სტუმრები დაადგნენ თავს. მილიციის მუშაკების დანახვაზე გაფაციყოლა ალექსანდრე გოგიაშვილს. მობრძანდითო, — ბრძანა ოფიცერმა. ამ ბოლო ორ-სამ კვირაში ეს ოცდამეხუთე ფაქტია,

კომუნისტი
თბილისის რაკალი
1-VI-1980

ამანათმა ქალაქი მოიარა

გაზეთ „კომუნისტის“ პრიზზე — საუბილეო კომბინირებული ამანათრბენი „თბილისის რაკალი“

„ბურევესტნიკმა“ თავიდანვე „უარი თქვა“ მთავარი პრიზის — „კომუნისტის“ თასისთვის ბრძოლაზე, რამეთუ ეს ჯილდო დაწესებულია იმ სპორტსაზოგადოებისათვის, რომელიც ორი ნაკრები გუნდის ჯამით საუკეთესო შედეგს მოიპოვებს. „ბურევესტნიკი“ სტარტზე ერთი კოლექტივით გამოცხადდა, მაგრამ სწორედ სტუდენტთა ნაკრები იყო ბრძოლის ტონის მიმცემი, სწორედ მას უტოლდებოდნენ სხვები და ცდილობდნენ როგორმე უკან ჩამოტოვებინათ იგი.

„კომუნისტის“ ტრადიციულ წრიულ კომბინირებულ ამანათრბენში, რომელიც ამჯერად გაზეთის 60 წლის იუბილეს მიეძღვნა, თავიდან „შრომითი რეზერვებისა“ და „კოლმეურნის“ გუნდების წევრები ე. გალუტვინა (სწორედ მას გადაეცა სპეციალური პრიზი I ეტაპის მოგებისათვის) და ზ. გუჩმაზოვა დაწინაურდნენ.

მერე ო. არტიომოვმა (მელიქიშვილის ქუჩაზე), ა. კასოევმა, ი. კუზნეცოვამ, ს. ხომასურიძემ და ი. ფიოდოროვმა ჭავჭავაძის პროსპექტის ბოლომდე შეინარჩუნეს „შრომითი რეზერვების“ უპირატესობა. ეს სხვაობა დროდადრო მატულობდა, ხან კი მცირდებოდა იმის მიხედვით, თუ როგორ ასპარეზობდნენ სხვა მეტოქენი ცალკეულ მონაკვეთებზე. V ეტაპზე მუშათა კლასის მომავალი ცვლა 100 მეტრს უგებდა უახლოეს მეკვარს „ბურევესტნიკის“ გუნდიდან. VII ეტაპზე კი „ლოკომოტივის“ მძლეოსანმა ი. ხრომოვამ იმდენად დააწინაურა თანაკლუბელები, რომ მათ მეექვსედან მეორე ადგილზე გადაინაცვლეს, ახლა რკინიგზელები ლიდერს 50 მეტრითღა ჩამორჩებოდნენ. გურამიშვილის ქუჩის დაღმართში ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა... „შრომითი რეზერვების“ მონაპოვრის შენარჩუნებას ი. არტემოვი ცდილობდა, „ბურევესტნიკის“ დაწინაურებას კი ი. კოსნინი (მანამდე მან გააასწრო „ლოკომოტივისა“ და „გასთიადის“ წარმომადგენლებს). საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების წევრმა კოსიხმა იპოდრომთან მაინც იძალა და ხელთ იგდო ლიდერობა.

ესტაფეტა იპოდრომამდე მძლეოსნებს მიჰქონდათ, მერე საქმეში ცხენოსნები ჩაერივნენ — 2700 მეტრიან მანძილზე ისინი აგრძელებდნენ ბრძოლას. სწორედ აქ მოხდა მოულოდნელობა: ეტყობა წელისწყრამ „დინამოსა“ და „შრომითი რეზერვებს“ უფრო მარჯვე ცხენები აღგუნა და მათ პირველებმა გადასცეს ესტაფეტა მძლეოსნებს.

პავლოვის ქუჩის დასაწყისში ველოსიპედისტები თავიანთ რიგს უცდიდნენ. აქედან გუნდებმა ბრძოლა (X ეტაპზე) ასეთი თანმიმდევრობით გააგრძელეს: „დინამო“, „ბურევესტნიკი“, „შრომითი რეზერვები“, „კოლმეურნე“. ამ ერთ-ერთ დიდ ეტაპზე შეიქმნა ველოსიპედისტთა ტრიო, რომელიც სულ უფრო ზრდიდა მანძილს ჩამორჩენილებთან და თითქოს მათი პოზიციები მყარი იყო, მაგრამ... პოლიტექნიკური ინსტიტუტის მთავარ კორპუსთან მოწყობილი XV ეტაპის სტარტზე სტუდენტებს ესტაფეტის ჯოხი დაუვარდათ, ამან „შრომითი რეზერვები“ დააწინაურა. ეს მეწინავეობა მათ მხოლოდ ეტაპის ბოლომდე შეინარჩუნეს. ზოოპარკთან ახლა „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენელი დაიბნა — დიდხანს ვერ ნახა თანაკლუბელი ველოსიპედისტი, ამასობაში წინ გაიჭრნენ „ბურევესტნიკი“, მერე „დინამო“, „კოლმეურნე“ და „ლოკომოტივი“. ფაქტიურად ბრძოლის ბედიც აქ გადაწყდა. სტუდენტებს ლიდერობა ხელიდან აღარ გაუშვიათ, თუმცა წინ კიდევ 12 ეტაპი იყო.

ახლა დავა II და III ადგილებისთვის მომდინარეობდა. XIII ეტაპზე რესპუბლიკის რეკორდსმენმა ლ. წინწყალაშვილმა არა მარტო შეძლო „კოლმეურნის“ ჩამორჩენის გამოსწორება, არამედ პლეხანოვის პროსპექტის მონაკვეთზე ზედიზედ რამდენიმე მეტოქეს აუარა და თავისი გუნდი II ადგილზე გადაიყვანა.

სანაპიროზე (ვრიბოედოვის ქუჩამთან) ბრძოლაში ისევ ველოსიპედისტები ჩაებნენ. მათ ლენინის მოედნამდე ატარეს ესტაფეტა. აქ დ. ნაზაროვმა („ბურევესტნიკი“) ესტაფეტა პირველმა გადასცა თანაგუნდელ ნ. გვრიტიშვილს (სხვები საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ), მერე კი ს. მინჟულინს, ი. მაჩაიძეს, თ. ხუხაშვილს და გ. მაჩაიძეს აღარ გაჭირვებიათ თანაგუნდელთა მონაპოვარის შენარჩუნება. ვ. მითაგვარიამ კი წერტილი დაუსვა სტუდენტთა ნაკრების გამარჯვებას. „ბურევესტნიკმა“ 23 ეტაპად დაყოფილი 17500-მეტრიანი წრე 39 წუთსა და 24 წამში დაფარა (აბსოლუტურად საუკეთესო დრო).

მაგრამ მთავარი პრიზის მფლობელი ვინაობა ჯერ კიდევ უცნობი იყო. როცა შეჯიბრება დამთავრდა და მსაჯთა კოლეგიამ (მთავარი არბიტრი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ვ. ვაშაკიძე) შედეგები შეაჯამა, გაირკვა, რომ „დინამოს“ ორივე კოლექტივს ყველასთვის უჯობნია. მის წევრებს ერთად ყველაზე მცირე დრო — 1:25.36 დაუხარჯავთ (40.33 და 45.03) და „კომუნისტის“ პრიზი მათ გადაეცათ. მომდევნო ადგილები დაიკავეს „კოლმეურნემ“ — 1:25.36,2 და „შრომითმა რეზერვებმა“ — 1.26.10,0.

სპეციალური პრიზი — „ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეს“ გადაეცა მ. კოლესიდის („დინამო“).

შეჯიბრებამ ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ჩაიარა, რაც მსაჯთა კოლეგიისა და ავტოინსპექციის კარგმა მუშაობამ განაპირობა.

ლელა გელაშვილი.



სურათებზე: ამანათრბენის მერვე ეტაპზე ცხენოსნებმა იასპარეზეს; „კომუნისტის“ პრიზით დაჯილდოებული „დინამოს“ კოლექტივის წევრთა ერთი ჯგუფი; სტუდენტთა ნაკრების წევრმა ვ. მითაგვარიამ ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა.
ს. კილაძის და ა. კოტლოვაშვილის ფოტო.

მეგობრობის მერიდიანები

ჩვენი კულტურის მოამაგე

გელგიელი ქართველოლოგი საქართველოში

თანამედროვე უცხოელ ქართველოლოგთა შორის ბელგიელი მეცნიერი, ცნობილი ორიენტალისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მიშელ ვან ესბროკი მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლთა შესწავლისა და საზღვარგარეთ პოპულარიზაციისათვის.

მეცნიერმა ქართული ენა ცნობილი ქართველოლოგის ჟერარ გარიტის ხელმძღვანელობით შეისწავლა და ქართული ლიტერატურის ძეგლთა კვლევა-ძიებას მიჰყო ხელი. ძირითადად დაინტერესდა ქართული მრავალთავების, როგორც გარკვეული ტიპის ლიტურგიკული კრებულების ყოველმხრივი შესწავლით. ქართულ მრავალთავთა საკითხავებს მან ბევრი ნაშრომი და მონოგრაფია უძღვნა.

მიშელ ვან ესბროკი ჩვენი ერისა და ეულტურის დიდი მეგობარი და თაყვანისმცემელია. მან ბელგიასა და სხვა კვეყნებში ბევრი საყურადღებო სტატია თუ ნარკვევი გამოაქვეყნა ძველი ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან საკითხებზე, მჭიდრო კონტაქტი და ურთიერთობა აქვს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ ქართველოლოგებთან.

ახლახან მიშელ ვან ესბროკი საქართველოში იყო. სამშობლოში გამგზავრების წინ ბელგიელ მეცნიერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში შეეხვედით და ვთხოვეთ „კომუნისტის“ მკითხველებისათვის მოეთხრო თავისი მუშაობის შესახებ.

— ქართული ენით, — გვითხრა მ. ვან ესბროკმა, — 15 წლის წინათ დავინტერესდი. თავდაპირველად, როცა ძველი ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიტერატურას ვსწავლობდი და მის ფესვებს ღრმად ჩავეძიე, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ძველ ლიტერატურულ წყაროებზე მუშაობა წარმოუდგენელი იყო ქართული ლიტერატურული ტრადიციების გაუთვალისწინებლად. უპირველესად ენის შესწავლა გადავწყვიტე. ეერარ გარიტი იყო ჩემი მასწავლებელი. იგი ნამყოფია საქართველოში და იმდენად გატაცებით მიამბობდა მის უძველეს კულტურასა და ლიტერატურაზე, რომ ჩვენს შორის შემოქმედებითი კონტაქტები დამყარდა. მალე თავად გეახლეთ საქართველოში. ეს იყო 1972 წელს. აქ ჩამოსვლამდე შესწავლილი და გამოკვეყნებული მქონდა ქართული მრავალთავების რამდენიმე საკითხავი, ჰომილეტიკური შინაარსის ამ უძველესმა კრებულებმა დიდად დამაინტერესა, რადგან მასში დაცული ტექსტები მრავალმხრივ არის საყურადღებო.

საქართველოში ყოფნისას დავსარული ჩემი სადოქტორო დისერტაცია „უძველესი ქართული მრავალთავები“, რომელიც ლუვენის ორიენტალისტიკის ინსტიტუტის გამომცემლობამ 1975 წელს დასტამბა.

შრომაში განხილულია ამ შესანიშნავი კრებულების მნიშვნელობა როგორც ქართული, ისე ბიზანტიური და, საერთოდ, ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიტურგიკული და პატრისტიკული ლიტერატურისათვის. მ. ვან ესბროკმა შეისწავლა ექვსი უძველესი მრავალთავი (IX-XI სს). ესენია — სინის, უდაბნოს, ათონის, კლარჯეთის, სვანეთისა და პარხლის მრავალთავები. საკითხავებს თან ერთვის გამოკვლევები, რომლებშიც მეცნიერი ეხება ამ თხზულებათა ავტორობის საკითხს, რედაქციებს, მათს წყაროებს და, ამრიგად, ცდილობს სრულად გაანიხილოს მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც მრავალთავების ტექსტების შესწავლისას წამოიჭრება.

როგორც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. მეტრეველი აღნიშნავს თავის რეცენზიაში, მ. ვან ესბროკის ნაშრომი პირველი მონოგრაფიაა ქართულ მრავალთავზე და შესანიშნავად წარმოაჩენს ამ ძეგლის უდიდეს მნიშვნელობას. ავტორი მას განიხილავს როგორც ადგილობრივი და უშუალო მეზობელი ქვეყნების ასევე ბიზანტიისა და მასში შემავალი აღმოსავლური პროვინციების მეღვთაებრივ პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ცხოვრების ფონზე.

— ამ მონოგრაფიის გამოცემამ, — გვეუბნება მ. ვან ესბროკი, — ზოგადი წვეთია. ქართულ მრავალთავთა საკითხავების შესწავლა დიდად მნიშვნელოვანია. ახლა ცალკეული თემების დამუშავებაზე ვმუშაობ. კერძოდ, აგიოგრაფიული ძეგლები მაინტერესებს და ამჟამად ჩემი ჩამოსვლის მიზანიც სწორედ ეს გახლავთ. მალე პარიზში გამოიცემა კოლექტიური შრომა — „წმინდა პელაგიას აგიოგრაფიული საკითხები“, რომლის შედგენაში 12 მეცნიერი მონაწილეობს. პარიზის მრავალთავში შემონახული საკითხავი წმინდა პელაგიაზე, რომელსაც მე ვამზადებდ, ერთ-ერთ უძველეს და საინტერესო საკითხავად მიმაჩნია.

გამოსაცემად ვამზადებ აგრეთვე გამოკვლევას გრიგოლ საკვირველმოქმედის შესახებ. აქ ერთერთი ნაწილი ეთმობა ვახტანგ გორგასალის პიროვნებას. სამომავლოდ მინდა შევისწავლო და გამოვცე საკითხავები, რომლებიც მიეწერება წმინდა ნინოსა და მელეტი ეპისკოპოსს. ვაგროვებ აგრეთვე მასალებს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის.

თქვენს ქვეყანაში უკვე მესამედ ჩამოვედი. შემოვლილი მაქვს თითქმის მთელი საქართველო, მოხიბლული ვარ ქართული ტაძრების დახვეწილი ხუროთმოძღვრებით. დიდებული და განუმეორებელია გელათი. მომაჯადოვა ქართულმა ფრესკებმა, ვსწავლობ მათს რეპერტუარს. საერთოდ ფერწერა ძალიან მიყვარს. ყველაზე უფრო მომწონს ლადო გუდიაშვილისა და ელენე ახვლედიანის ხელოვნება, ამიტომაც მათი სახელოსნოების ხშირი სტუმარი ვარ. ბატონ ლადოს ნაჩუქარ ნახატებს ჩემს სამუშაო ოთახში გამორჩეული ადგილი უჭირავს, ფრანგი ქართველოლოგის ბერნარ უტიეს დავალებით თან მიმაქვს ლ. გუდიაშვილის გრაფიკის ფოტოასლები — სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისას“ ილუსტრაციები. მალე იუნესკო გამოსცემს ამ ნაშრომოს ფრანგულ ენაზე.

ნება მიბოძეთ, მადლობა გადავუხადო ხელნაწერთა ინსტიტუტის მთელ კოლექტივს, ყველას, ვინც არ დაიზარა და სიტყვით თუ საქმით შემეწია, — დასრულა მ. ვან ესბროკმა.

რ. მუხიგულაშვილი.

თბილისში უჩვეულებენ

კინოთეატრ „რუსთაველში“ ინდური ფილმის „მზეთუნახავის“ ჩვენებით დაიწყო აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ფილმების ფესტივალი. ფესტივალის ფარგლებში თბილისელები ნახავენ კიდევ ოთხ კინოფილმს: „უმოშავლო ქალს“ (ეგვიპტე), „გოროს“ (იაპონია), „ხულიო იწყება ხულიოში“ (ჩილე) და „ჩუკიაგოს“ (ბოლივია).

ეს ფილმები თბილისში ჩამოიტანა ახლახან უზბეკეთის დედაქალაქში გამართული აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების VI საერთაშორისო კინოფესტივალის სტუმართა დელეგაციამ.

ფესტივალი 5 ივნისამდე გასტანს. (საქინფორმი).

საბავშვო სამხატვრო სკოლა

გეგეჭკორი. (საკ. კორ. ბ. მილიუტინი). ნორჩი თაობის მხატვრულ-ესთეტიკურ აღზრდას ემსახურება ოთხწლიანი საბავშვო სამხატვრო სკოლა, სადაც 25 ბავშვი სწავლობს. აქ ისინი ეუფლებიან ხატვის, ფერწერის, გრაფიკის ელემენტებს, ეცნობიან სკულპტურულ მოდელებს, სწავლობენ ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს, ეროვნული ეთნოგრაფიის ნიმუშებს.

თუმცა სკოლა შარშან გაიხსნა, მოსწავლეები უკვე იჩენენ დაინტერესებას შედარებით რთული თემებისადმი. მათთვის ერთ-ერთი ასეთი თემა აღმოჩნდა მოსკოვის ოლიმპიური ასპარეზობა, რომლის ცალკეულ პერიპეტიებს წინასწარ ასახავენ.

მსჯელობენ ახალგაზრდა ფილოლოგები

ამ დღეებში გაიმართა ახალგაზრდა მეცნიერ ფილოლოგთა რესპუბლიკური კონფერენცია. მის მუშაობაში მონაწილეობდა 85 ახალგაზრდა ქუთაისელი, სოხუმელი, ბათუმელი, გორელი, თბილისელი და ცხინვალელი სპეციალისტები.

მუშაობდა რამდენიმე სექცია — ზოგადი ენათმეცნიერების, ძველი ქართული ლიტერატურისა და კლასიკური ფილოლოგიის, ქართული და რუსული ენისა და ლიტერატურის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების, ინგლისური ფილოლოგიისა და სხვა სექციები. ახალგაზრდა მეცნიერებმა მრავალი საინტერესო მოხსენება წაიკითხეს. კონფერენციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი ე. ხინთიბიძე, ცხადყო რესპუბლიკის ახალგაზრდა სპეციალისტთა კარგი მომზადება.

ს. ნათენაძე.

ესპანელებმა შემადგენლობა დაასახელეს

ესპანეთის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრების უფროსმა მწვართნელმა ანტონიო დიას მიგელმა დაასახელა გუნდის შემადგენლობა, რომელიც მოსკოვის ოლიმპიადაში იასპარეზებს. ნაკრებში ითამაშებენ ესპანეთის ცნობილი საკლუბო გუნდის — მადრიდის „რეალის“ წევრები — ბრაბენდერი, კორბალანი, იტურიაგა, ლორენტე და რომაი, „ბარსელონას“ ხუთი სპორტსმენი — დე ლა კრუსი, ფლორესი, სიბილიო, სან ეპიფანო და სოლოსაგალი, აგრეთვე, „რეალის“ ყოფილი ბადალონას „ხუვენტუდიდან“ — მარგალი და სანტილიანა. 7 ივლისს ესპანელი კალათბურთელები მოსკოვს გამოემგზავრებიან. აქ ისინი ოლიმპიადის დაწყებამდე რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ.

ისრეგი მიზანში

მოსკოვში დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატი მშვილდოსნობაში, რომლის შედეგებმა საბოლოოდ უნდა დაასახელოს საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების წევრები. პირველი სამი დღის შემდეგ ქალთა შორის დაწინაურდა ტალინელი ნატალია ბუტუზოვა — 1909 ქულა. მას კვალში უდგას თბილისელი ქეთევან ლოსაბერიძე — 1904 ქულა.

ვაჟთა შორის დაწინაურდა ჩიტელი ვლადიმერ ეშეევი — 1901 ქულა. მეორე ადგილზეა ბაქოელი ვლადიმერ მაქსიმოვი — 1873 ქულა. აღსანიშნავია, რომ ეშეევმა 90 მეტრ დისტანციაზე 322 ქულა დააგროვა და 4 ქულით გაუსწრებია ამერიკელი რიჩარდ მაკკინეის მსოფლიო რეკორდი.



სატურნირო ორბიტა

ჰავანა. დონის როსტოვში დამთავრდა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო თასის გათამაშება. „ბურევესტნიკმა“ 37 ქულა დააგროვა და თასს დაეუფლა. მომდევნო სპარიზო ადგილებზე გავიდნენ „ავანგარდი“ (35,5 ქულა) და შეიარაღებული ძალების ნაკრები (34). საუკეთესო შედეგებით დაამთავრეს ასპარეზობა მაია ჩიბურდანიძემ („დინამო“) და ირინე ლევიტინამ (შეიარაღებული ძალები). ორივემ 7-7 შესაძლებლიდან 5,5-5,5 ქულა დააგროვა.

ვალენსიერი. დიდი ბრიტანეთის გზებზე გრძელდება „რძის ტურად“ წოდებული მრავალდღიანი ველოსიპედი. მეშვიდე ეტაპი მოიგო ჟუბიშეველმა სერგი ნიკიტენკომ. შვიდი ეტაპის ჯამით პირად ჩათვლაში ლიდერობს ლენინგრადელი ივანე მიშჩენკო, ხოლო გუნდურში — საბჭოთა ნაკრები.

მძლეოსნობა. პოსტდამში (გდრ) სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ათეულთა შეხვედრაში გაიმარჯვა საბჭოთა ნაკრებმა. პირად ასპარეზობაშიც უძლიერესი საბჭოთა სპორტსმენი იყო: მოსკოველი ალექსანდრე შაბლენკო — 8308 ქალა.

ფრანგფურტი. საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრებმა მეხუთე ამხანაგური მატჩი გამართა იაპონიაში. ეს იყო დასკვნითი შეხვედრა და ამჯერად საბჭოთა სპორტსმენებმა იზეიმეს გამარჯვება — 3:0.

გარემოს დაცვის სამეცნიერო ასპექტები

ბუნებრივი გარემოს რაციონალური გამოყენების, ანთროპოგენული საქმიანობის ზემოქმედებით შექმნილი ეკოლოგიური ტიპების დაცვის საქმეში „ესაბამისი კის მეცნიერთა“ მიღწევებისა და ამოცანებს განიხილავენ 2 ივნისს თბილისში გახსნილ გარემოს დაცვის საკითხებისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ კონფერენციაზე. იგი მოაწყვეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარემოს დაცვის პრობლემურმა ცენტრმა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნების დაცვის კომისიამ. სამეცნიერო ფორუმში მონაწილეობენ საქართველოს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, სამინისტროებისა და უწყებების კვლევითი ცენტრების წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობენ ბუნების დაცვის ღონისძიებათა შემუშავებისა და დანერგვისათვის.

კონფერენცია გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორექტორმა პროფესორმა ს. ჯორბენაძემ.

მოხსენება „ვ. ი. ლენინი და ბუნება“ გააკეთა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგემ პროფესორმა ა. ჯანაშვილმა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნების დაცვის კომისიის თავჯდომარემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსმდივანმა ლ. გაბუნიამ და პროფესორმა თ. ურუშაძემ დამსწრეთ გააცნეს რესპუბლიკაში შემუშავებული „ადამიანი და ბიოსფეროს“ პროგრამის ამოცანები.

კონფერენცია მუშაობას განაგრძობს 4 ივნისამდე. (საქინფორმი).

ამინდი

ზაფხული გვეწვია

ივნისი ზაფხულის პირველი თვეა. 22 ივნისს ყველაზე მოკლე ღამე და ყველაზე გრძელი დღეა.

ივნისში დედამიწა ყველაზე მეტ სითბოს იღებს მზისგან. ზაფხული თანდათან შედის ძალაში. ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა 2-4 გრადუსით სჭარბობს მაისისას, დაბლობ რაიონებში იგი მერყეობს 17-22, მთიან რაიონებში 14-19 გრადუსს შორის. მაგრამ ცალკეულ წლებში იგი შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდეს ნორმისაგან, როგორც ეს იყო, მაგალითად, 1950, 1952, 1967 და 1978 წლებში, როდესაც ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა ნორმაზე ერთი-ორი გრადუსით დაბალი იყო, ხოლო 1961, 1964, 1969 და 1975 წლებში მრავალწლიურ ნორმას 2-3 გრადუსით აღემატებოდა.

ივნისში ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი ბარში აღწევს 33-38, მთებში 29-34 გრადუსს. წლის ამ დროს ცივი ჰაერის მასების შემოჭრა შედარებით შესუსტებული და იშვიათია, მაგრამ მათი გავრცელების დროს მინიმალურმა ტემპერატურამ დაბლობ რაიონებში შეიძლება დაიწიოს 10-6 გრადუსამდე, ქართლსა და კახეთში ზოგან ერთ გრადუსამდე.

როგორი იქნება წლევანდელი ივნისი? გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა მოსალოდნელია ნორმასთან ახლოს, ზოგან ნორმაზე რამდენიმე მაღალი.

ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით იქნება 14-18, დღისით 27-32, თვის ცალკეულ დღეებში დაიკლებს 21-26 გრადუსამდე (სანაპირო რაიონებში ზოგან 18-23-მდე), მთიან რაიონებში ღამით 10-15, დღისით 22-27, ზოგჯერ დაიკლებს 16-21 გრადუსამდე; მაღალმთიან რაიონებში კი შედარებით ეგრილება, ღამით იქნება 4-9, დღისით 17-22, თვის ცალკეულ დღეებში 10-15 გრადუსი.

თვის განმავლობაში დროდადრო მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, ნალექების თვიური ჯამი რესპუბლიკის ტერიტორიის უმეტეს ნაწილში იქნება მრავალწლიური ნორმის ფარგლებში.

ვ. კოპლატაძე,
თბილისის ამინდის ბიუროს უფროსი.

ფეხბურთის მინდვრებზე

● უმაღლესი ლიგა, მეათე ტური

ბუშინ ცსკასა და „ზენიტის“ მატჩით დაიწყო უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეათე ტური. მატჩი, რომელიც მოსკოვში გაიმართა, დამთავრდა ცსკას გამარჯვებით — 2:1.

დღეს ამ ტურის დანარჩენი მატჩები გაიმართება. „არარატი“ მასპინძლობს „ლოკომოტივს“, „ყაირათი“ — „ქარპატს“, „ფაზთაქორი“ — „შახტიორს“, „ნეფთი“ — „ჩერნომორეცს“, „ციგვის „დინამო“ — „ყუბანს“, მინსკის „დინამო“ — „სპარტაკს“, „ტორპედო“ — მოსკოვის „დინამოს“, ხოლო თბილისის „დინამო“ — დონის როსტოვის არმიელთა გუნდს. გუშინ გაიმართა თბილისის „დინამოსა“ და როსტოველ არმიელთა დუბლიორების შეხვედრა. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

● პირველი ლიგა, მეთოთხმეტე ტური

გაიმართა პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეთოთხმეტე ტურის მატჩები. ორჯონიკიძეში ადგილობრივმა „სპარტაკმა“ მიიღო ქუთაისის „ტორპედო“. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. ლენინგრადში „გურია“ კი შეხვდა ნალჩიკის „სპარტაკს“. ნალჩიკიც ფრე აღინიშნა — 0:0.

● მეორე ლიგა, მერვე ტური

მეორე ლიგის მეცხრე ზონაში მოასპარეზე საქართველოს გუნდებმა სუფთრად ითამაშეს. შედეგები ასეთია: ერევნის „არაბკირი“-სამტრედიის „ლოკომოტივი“ — 1:0. აშხაბადის „კოლხოზჩი“-ზუგდიდის „ლოკომოტივი“ — 3:1. ბაქოს „ავტომობილისტი“-სოხუმის „დინამო“ — 2:0, აბოვიანის „კოტაიკი“-ბათუმის „დინამო“ — 9:1, ლენინაკანის „შირაკი“-ფოთის „კოლხეთი“ — 1:1. გათამაშებას 14 ქულით ლიდერობს სამტრედიის „ლოკომოტივი“.

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲐᲥᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲐᲠᲔᲑᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲠᲐᲙᲐᲚᲘ

ᲐᲛᲐᲜᲐᲗᲛᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲛᲝᲘᲐᲠᲐ

ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲐᲡᲞᲔᲥᲢᲔᲑᲘ

Მ. ᲩᲮᲘᲙᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲛᲐᲜᲐᲗᲠᲑᲔᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲔᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲐᲒᲔ

ᲒᲔᲚᲒᲘᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲚᲝᲒᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲣᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲑᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲖᲔ

ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲒᲕᲔᲬᲕᲘᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲡᲐᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ:

380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ — 99-93-03, 99-03-09, ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲘᲡ — 99-72-80, ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲜᲝᲡᲘ — 99-66-10, ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ-ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ — 99-87-61, ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲢᲣᲚ-ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ — 93-22-93, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ — 93-20-34, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ — 99-52-46, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲨᲕᲔᲓᲝᲑᲘᲡ — 93-18-70, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ — 93-27-58, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01, ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲥᲡᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ — 93-95-98, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 93-16-90, ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-60-21, ᲛᲣᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ — 99-73-24, ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ — 93-28-54, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ — 93-95-24.

ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ:

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ — 431-08-52; ᲡᲝᲮᲣᲛᲘ — 2-40-19; ᲑᲐᲗᲣᲛᲘ — 3-41-69; ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ — 2-22-52; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — 5-26-36; ᲒᲝᲠᲘ — 2-33-10; ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ — 2-03-15; ᲤᲝᲗᲘ — 28-40; ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐ — 2-28-44; ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ — 6-34-44; ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡᲘ — 39-55; ᲗᲔ